ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

ეროვნული – ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათობით და ხუთშაბათობით

№57 (1495) 8–11 ნოემბერი, 1996 წელი

მომიახლოვდი ტერაქტების დიდო რაინდო!

კომპარტიის წევრად ხელმეორედ ჩარიცხული გიორგაძის თემა არ იხსნება დღის წესრიგიდან უმაღლეს ეშელონებში. არ იხსნება იმადაც, რომ გიორგაძეს საქართველოში პირველ კაცად დაბრუნებას უწინასწარმეტყველებენ, ცხადია, მისიანები...

არსებული ხელისუფლება კი მის ბადრაგით ჩამოყვანაზე ფიქრობს, მაგრამ რუსეთი, რომელიც ესენგისტებისათვის ნიშნავდა რძეს, კარაქს, შაქარს, დაბრუნებულ აფხაზეთს, გიორგაძეს არ გვიბრუნებს და აფხაზეთის დამბრუნებელია?

უშიშროების ყოფილი შეფის, აწ საშიში დამნაშავის შესახებ წაიკითხეთ+მესამე გვერდზე

დღევანდელ ნომერში:

რაც დღე დააკლდა სპინოზას, შენ შეგეძატოს ბორია ანუ ფრანგული პრესა ბორის ელცინის სნეულებათა შესახებ

მე–2 გვ.

ერთი „ტოსტი“ თქვა ასეთი (მომყავს ქართული თარგმანი): „რუსთველი არის თათარი - შოთაი -ოღლი-თანგანი!

მე–7 გვ.

მომდევნო ნომერში:

19 მწარე შეკითხვა ბატონ ჯუმბერ პატიაშვილს

ჯაბა იოსელიანის საქმის განხილვა ერთ თვეში დაიწყება

„მხედრიონის“ ყოფილ ლიდერის ჯაბა იოსელიანის, გიგა გელაშვილის და თემურ ხაჩიშვილის სისხლის სამართლის საქმე ერთი თვის შემდეგ გადაიგზავნება საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველად. ამჟამად ბრალდებულები ეცნობიან სისხლის სამართლის საქმეს. პროკურატურას გაუჩნდა ეჭვი, რომ ისინი განგებ აჭიანურებენ საქმის გაცნობას. ამდენად, მათ მიეცათ ვადა - ერთი თვე. საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ რევაზ ყიფიანმა კატეგორიულად უარყო ხმები იმის თაობაზე, თითქოს ჯაბა იოსელიანს მოეხსნა ბრალდება ტერორისტული აქტების ორგანიზებაში. რ.ყიფიანმა განაცხადა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის გია ჭანტურიას მკვლელობის თაობაზე თავიდანვე მოილაპარაკეს ჯაბა იოსელიანმა, გიგა გელაშვილმა და თემურ ხაჩიშვილმა.

იბერია

დეოკუპაციის კომიტეტის კოორდინატორის თანამდებობაზე დასახელებულია ირაკლი წერეთელი

საქართველოს დეოკუპაციის კომიტეტის ხელმძღვანელობას დაგეგმილი აქვს შეხვედრები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ზურაბ ჟვანიასთან და პარლამენტის რამდენიმე კომიტეტის ხელმძღვანელთან. წინასწარი შეთანხმება ამგვარი შეხვედრების შესახებ უკვე მიღწეულია. დეოკუპაციის კომიტეტის ხელმძღვანელებს აგრეთვე სურთ საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრა. უახლოეს მომავალში დეოკუპაციის კომიტეტი აირჩევს კოორდინატორს. აღნიშნულ პოსტზე დასახელებულია საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარის ირაკლი წერეთლის კანდიდატურა.

ი.წერეთელმა სააგენტო „იბერიას“ კორესპონდენტს გაუცხადა, რომ დეოკუპაციის კომიტეტი ყველანაირად შეუწყობს ხელს საქართველოდან უცხო ქვეყნის ჯარის გაყვანას და საქართველოს დაახლოებას ჩრდილოატლანტიკურ სამხედრო კავშირთან.

უკრაინა მხარს უჭერს საქართველოს სურვილს - მონაწილეობა მიიღოს შავი ზღვის ფლოტის გაყოფაში

საქართველოში უკრაინის სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა ანატოლი კასიანენკომ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მხარს უჭერს საქართველოს სურვილს მონაწილეობა მიიღოს შავი ზღვის ფლოტის გაყოფაში. მითუმეტეს, რომ ბევრი სამხედრო ხომალდი ქალაქ ფოთში იყო დისლოცირებული საბჭოთა კავშირის დაშლამდე. გარდა ამისა, მისივე თქმით, უკრაინა ყოველმხრივ შეუწყობს ხელს საქართველოს სამხედრო - საზღვაო ფლოტის ჩამოყალიბებას.

იბერია

თენგიზ სიგუას ოფისში ისევ გამოჩნდნენ სამართალდამცავები, ოღონდ ამჯერად „შესახლების“ მისიით

პირდაპირ ანეკდოტად იქცა ორად გაყოფილი რუსთაველის საზოგადოების დავის ამბავი.

წინა ნომერში მოგახსენებდით, რომ საზოგადოების ოფისი დალუქა მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ, აგერ გავიდა რამდენიმე დღე და ამავე რაიონის აღმასრულებლები კვლავ ეწვიენ რუსთაველის საზოგადოებას, ოღონდ ამჯერად ლუქის ასახსნელად.

საქმე ისაა, რომ უზენაესმა სასამართლომ ნაჩქარევად ცნო გამგეობის ოთახის დალუქვა და დამლუქავი იძულებული გახდა თავისივე ხელით გაეხსნა კარი.

სხვათაშორის, საინტერესოა ის ფაქტი, რომ პირველი პროცედურის ანუ დალუქვის შესასრულებლად სასამართლოს თავმჯდომარემ გვკუპამ განაჩენი კი არ გადასცა აღსასრულებლად აღმსრულებლებს, არამედ რეზოლუცია დაადო მომჩივანის განცხადებაზე. ეს ფაქტი სამართალწარმოების ისტორიაში თავისი ორიგინალობით უპრეცენდენტოა. ასე იყო თუ ისე, დალუქული საზოგადოების კარი გაიხსნა, რაც ჩვენთვის საინტერესო იმდენადაა, რამდენადაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიას ნელ-ნელა მართლაც ეხსნება კარი. უზენაესი სასამართლოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი არ გაუფრთხილდა მუნდირის ღირსებას და შეცვალა ქვემდგომთა გადაწყვეტილება, ეს მით უფრო დასაფასებელია, რომ ყველამ იცის, ეს მხოლოდ ქვემდგომთა გადაწყვეტილება არ უნდა იყოს...

საკუთარი ინფორმაცია

ჯაბა იოსელიანი ბრალდებულ-მოწმედ ნარკოტიკებისა და დიდი რაოდენობით იარაღის შენახვის ფაქტს აღიარებს

სააგენტო „იბერიის“ კორესპონდენტს საქართველოს პროკურატურიდან არ დაუდასტურეს ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს მხედრიონის ყოფილ ლიდერს - ჯაბა იოსელიანს მოეხსნა ბრალდება ტერორისტული აქტების ორგანიზებასთან დაკავშირებით. ეს არის თავად ჯაბა იოსელიანის სურვილი, რომ მას მოეხსნას ბრალდება ტერორიზმში. ჯაბა იოსელიანი მხოლოდ ნარკოტიკული ნივთიერებებისა და იარაღის დიდი რაოდენობით შენახვას აღიარებს.

პატარა ფერიების კონკურსი და ჩვენი პუბლიკაციით აღფოთებული მშობლები

გაზეთ „საქართველოს“ 55-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი „პატარა ფერიების კონკურსი დიდ საზიზღრობად იქცა“, სადაც ლაპარაკი იყო 10 წლის გოგონებში სილამაზის კონკურსის გამართვის მიუღებლობაზე და იმ ერთდროულად სატირალ და სასაცილო ამბებზე, რაც კულუარებში ასეთი კონკურსების მომზადებას ახლავს.

კერძოდ, ნათქვამი იყო, თუ ერთ-ერთი პატარა გოგონა როგორ აიყვანა სცენაზე ბ.ხინთიბიძემ და როგორ მიმართა მშობლებს, გინდათ ეს ბავშვი თქვენი შვილების კონკურენტი იყოსო? მშობლებმა კი ერთხმად იყვირეს - არა, არ დავუშვებთ ამ უსამართლობასო.

ჩვენი მიზანი იყო არა იმ პატარა გოგონას მშობლების ან მისი ქომაგის გამართლება, არამედ იმ სურათის დახატვა, რომელშიც ყველანი - ესენიც და ისინიც მთლად კარგად ვერ გამოიყურებიან ანუ ხაზგასმა იმისა, რომ პატარების სილამაზეში გაჯიბრება ჯერ ისეა მიუღებელი და ამასაც რომ თავი დავანებოთ, მიუღებელი პროცედურით ხდება.

ამ პუბლიკაციის შემდეგ რედაქციას ეწვიენ მშობლები. ვიფიქრეთ, ალბათ წერილში მოყვანილი ფაქტების უარყოფა სურთო. მათ კი აი, რა მოგვართვეს. გთავაზობთ მათ „პასუხს“. კომენტარი მკითხველისთვის მიგვინდვია:

ბატონო რედაქტორო!

ამ წერილს გწერთ აღშფოთებული მშობლები და იმედი გვაქვს ბოლომდე წაიკითხავთ ამ წერილს.

თქვენი გაზეთის „№55-ში დაბეჭდილი იყო წერილი „პატარა ფერიების კონკურსის ჩატარება დიდ საზიზღრობად იქცა“ ირინე ვაჭარაძის, რომელშიც ძალიან მკაცრად იყო გაკრიტიკებული ფილარმონიის პროდიუსერი ბესიკ ხინთიბიძე. იგი ისეთ დამნაშავედ იყო გამოყვანილი, რომ ვინც არ იცოდა საქმის არსი, ალბათ ამ წერილის წაკითხვისთანავე, წარმოიდგენდა საძულველ ადამიანს, რომელმაც ბავშვს მიაყენა ასეთი დიდი ტკივილი.

ნამდვილად კი საქმის არსი შემდეგში იყო: ჩვენი შვილები „თბილისის ფერიის“ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მეცადინეობდნენ ამა წლის მაისის თვიდან. ჩატარდა 3 ტური. ამ ტურებში გასული ბავშვები მეცადინეობდნენ 5 ნომინაციაში. კონკურსის დღეს დაინიშნა 30 ოქტომბერი.

24 ოქტომბერს კი ბატონი ბესიკ ხინთიბიძე დანიშნული იყო ნაძალადევის რაიონის ფერიათა კონკურსის ჟიურის თავმჯდომარედ. მას მოეწონა ფერიად არჩეული გოგონა და შეპირდა „თბილისის ფერიის“ კონკურსში მიგიწვევო. ერთი სიტყვით, იმ დროს ბატონმა ბესიკმა ვერ მოზომა თავისი ნაბიჯი, რომელმაც შემდეგ თქვენი გაზეთის კრიტიკულ წერილის გმირად აქცია.

29 ოქტომბერს, ცეკავშირის შენობაში მშობელმა მოგვიყვანა ეს ბავშვი და გვეუბნებიან მშობლებს, რომ იგი გამოვა 30 ოქტომბერს კონკურსშიო. ბატონმა ბესომ აგვიხსნა საქმის ვითარება, ბოდიში მოიხადა ბავშვთანაც და ჩვენთანაც და შეგვეკითხა, ჩვენ თუ ვიყავით თანახმა. რა თქმა უნდა ჩვენ უარი ვუთხარით, იმიტომ რომ ჩვენმა ბავშვებმა იწვალეს ამდენი, ამდენი ტურები გაიარეს და უცბად წინა დღეს კიდევ ახალი კონკურენტი. იმ ბავშვზე თუ ფიქრობდა ქალბატონი ირინე, რომ „ნაღვლიანი თვალებით“ იყურებოდა, რატომ ჩვენს ბავშვებზე არ ფიქრობდა, რომ ბავშვების სული მახინჯდებოდა უსამართლობით. ამათ იმეცადინეს 6 თვე და ის ვინც მოვდა წინა დღეს, უცბად გახდა მათი კონკურენტი.

ან გინდაც ჩვენ თანახმანი ვყოფილიყავთ, განა რაც ჩვენმა შვილებმა ისწავლეს ამ ხნის განმავლობაში, ის ბავშვი იმ პროგრამით გამოვიდოდა? ან თვითონ მშობელმა რატომ იკადრა სხვისი შვილების დამცირება? ან რა საჭირო იყო ამდენი ალიაქოთის ატეხვა. ის ბავშვი ხომ იყო თავისი რაიონის ფერია. თუმცა ეს მოსალოდნელი იყო ქალბატონი კორესპონდენტისგან, იგი დარბაზში დაგვმუქრა, ამ საქმეს ასე არ დავტოვებო.

კიდევ ვიმეორებთ, ბესიკ ხინთიბიძე არაფერ შუაში იყო, ბავშვი კონკურსზე ჩვენ არ დავუშვით მშობლებმა. ბატონმა ბესომ ბავშვი მაინც გამოიყვანა კონკურსში, როგორც საპატიო სტუმარი. ნორმალური ადამიანი, რომელმაც დაუმსახურებლად მიაყენა შეურაცხყოფა ბესიკ ხინთიბიძეს, კორესპონდენტის ადგილას, ბოდიშს მოუხდიდა მას. ისე, გვაპატიეთ ბატონო რედაქტორო და ასეთ სანოთირო საქმეზე შემოსული კორესპონდენციები ცოტა სხვაგვარად უნდა კონტროლდებოდეს. თვითონ სტუდიის თანამშრომლებმა არ იკადრეს თავიანთი შვილების გამოყვანა კონკურსში, რომ რაიმე გაუგებრობას არ ჰქონოდა ადგილი ან მიკერძოებას და ამ ბავშვის მშობელმა კი იკადრა ეს.

პატივისცემით მშობლების სახელით:

1.ბაძაღაშვილი
2.ჯაჯანტირაძე
3.ჭილაძე
4.მელიქაძე
5.ბერიძე
6.აიდარაშვილი
7.ჯაჯანაძე

რაც დღე დააკლდა სპინოზას, შენ შეგემატოს ბორია ანუ ფრანგული პრესა ბორის ელცინის სნეულებათა შესახებ

კრემლის აბურდულ-დაბურდული განცხადებების მოუხედავად, ყველასთვის აშკარაა, რომ რუსეთის პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა. საარჩევნო კამპანიის დამთავრების დღიდან, სულ უფრო და უფრო უარესდება. 65 წლის პრეზიდენტი არც ცდილობს დამალოს საკუთარი „სამედიცინო ბიოგრაფია“. თავის „მოგონებებში“ იგი წერს, რომ მისი ავადმყოფობა შედეგია „უკიდურესი ფიზიკური დაძაბულობისა და გადაღლილობისა“.

ოფიციალურად, ელცინს მიოკარდის იშემია-სისხლძარღვების შევიწროება და წნევა აწუხებს. 1987 წლიდან მოყოლებული, პოლიტიკურ აღზევებასთან ერთად, იზრდებოდა გულის შეტევების რიცხვიც. პირველი შეტევა ელცინმა სწორედ მაშინ განიცადა, როცა ნომენკლატურის პრივილეგიების წინააღმდეგ გაილაშქრა. ამას კიდევ სამი „იერიში“ მოყვა. უკანასკნელი 1995 წლის ოქტომბერში.

ექიმები პრეზიდენტის „ფსიქოლოგიურ მგრძნობელობაზეც“ ლაპარაკობენ: უგუნებობის დროს ან სტრესის პერიოდში, ელცინი არაეს ეძალებოდა. იგი თვით აღიარებს, რომ „ხშირად განუცდია დეპრესია“ და უგრძნია „რაღაც სიცარიელის მსგავსი“. გაძნელებული მეტყველება, აზრების ქაოსი, შეშუპებული სახე - ყველა ეს სიმპტომი, რომელიც თან ახლავს პრეზიდენტის ხშირ ალოგიკურ მოქმედებებს, ალკოჰოლიზმით გატაცებას მიეწერება.

ამას ემატება სხეულის დაძაბუნება, რომელიც გამოწვეულია „მრავალი წამლის ერთდროულად მიღებით“. 1990 წელს ელცინს გადაუდებელი ოპერაცია გაუკეთეს ესპანეთში. ამ დღიდან მოყოლებული, პრეზიდენტი ზურგის „აუტანელ ტკივილებს“ წამლებით იკურნებდა. საერთო სურათს კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის ე.წ. „დიპლომატიური სნეულებანი“. მაგალითად, ცხვირის ოპერაცია, რომელიც ერთობ უცნაურად დაემთხვა ჩინეთში რუსეთის ჯარის შესვლას (1994 წლის დეკემბერი).

ბავშვობაში გადატანილმა ტრავმებმა - ხელყუმბარით დაგლეჯილი თითები, ნაწლავების ოპერაცია, გახეკვული ხერხემალი, - პრეზიდენტის სიტყვებით, „გამოაწრთო მისი ხასიათი“ და ვერაფერი ავნო მის „გლეხურ ჯანმრთელობას“. ასეა თუ ისე, ბორის ელცინმა 10 წლით გადაასწრო საშუალო რუსის სიცოცხლის ზღვარს.

სოფი ლამბროჩინი
(„ექსპრესი“, ოქტომბერი, 1996)
თარგმნა გიორგი ეკიზაშვილმა



მიხეილ სააკაშვილი: კონკრეტული შედეგი გიორგაძის ბადრაგით ჩამოყვანა იქნებოდა

– კომიტეტის სხდომაზე 29 აგვისტოს ტერაქტთან დაკავშირებით განაცხადეთ – იგორ გიორგაძე საჭირო გაიშიფროს. გაიშიფროს ეს პოლიტიკური ამბიციების მქონე მანიაკალური პიროვნება. კონკრეტულად რას გულისხმობდით?

– გიორგაძეს რომ რუსეთში გავლენიანი მფარველები ჰყავს, ეს იმის ჯილდო არ არის, რაც მან წარსულში გააკეთა. ბევრი შემთხვევა ყოფილა, როდესაც გამოუსადეგარი აგენტები მოუშორებიათ. გიორგაძე და მისი მომხრეები რუს მფარველებს სერიოზულად არწმუნებენ, რომ მას საქართველოში სერიოზული პოლიტიკური ბაზა აქვს და შეიძლება დაბრუნდეს მმართველის ერთ-ერთ შესაძლო კანდიდატად. ამას ემსახურებოდა მისი არჩევა კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ასე რომ, პრაქტიკულად ქმედითი ღონისძიება იქნება ყველაფერი ითქვას ი.გიორგაძის პოლიტიკურ სახელზე – თუ რამ შეუწყო ხელი მის აღზევებას და ვინ უჭერდა მხარს. უნდა მოხდეს იმ ნიადაგის განეიტრალება, რომ იგი ერთ მშვენიერ დღეს ჰოლიტიკურად მოგვევლინოს. საბოლოოდ კი ი.გიორგაძე კრიმინალია, რომელსაც ჰქონდა საპრეზიდენტო ამბიციები, ხოლო ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად პრეზიდენტის ფიზიკური განადგურების საშუალება აირჩია. ეს კი ქვეყნის წინაშე ძალიან მძიმე დანაშაულია.

– თუ არის იმის მონაცემები, რომ ი.გიორგაძეს პირველ პირად უნდა საქართველოში დაბრუნება?

– ამაზე მეტყველებს არა მარტო კომპარტიის მუშაობა, არამედ მისივე მუდმივი ინტერვიუები რუსულ პრესაში. ეს თავის მართლება კი არ არის, არამედ პოლიტიკური პროგრამაა, საიდანაც ნათლად გამოსჭვივის თვითდაჯერება, დარწმუნება მხარდამჭერებში. არა მგონია, რომ ეს მხოლოდ მისი პირადი ილუზიები იყოს. ჩანს, არსებობს ძალები, რომლებსაც ი.გიორგაძის დაბრუნება რეალურად მიაჩნიათ. ვფიქრობ, ეს ძალები ძირითადად უკავშირდება იმპერიული ლობის რადიკალურ ფრთას.

– რუსეთის მიერ ი.გიორგაძის გადმოცემის გაჭიანურების გამო რა ზომების მიღებას აპირებთ?

– ი.გიორგაძის გადმოცემა მისი მფარველების მიერ იქნება ნიშანი ყველასთვის, რომ რუსეთს მათი ბედი არ აინტერესებს, რაც სერიოზულ ზიანს მიაყენებს მთელ გუნდს. ამასთანავე ი.გიორგაძის გადმოუცემლობა შევარდნაძის საწინააღმდეგოდაა მიმართული, ვინაიდან გიორგაძის მფარველებს პრეზიდენტის ფიგურა აღიზიანებთ და მკვეთრად მტრულადაც არიან განწყობილნი. პირველ რიგში კი ეს ქართველი ხალხის შეურაცხყოფაა, რომ არაფერი ვთქვათ საერთაშორისო სამართლის ნორმებზე და სახელმწიფოთაშორისო ელემენტარულ ურთიერთობებზე.

არის მცდელობა, რომ ეს საკითხი მხოლოდ კრიმინალურ დონეზე დაიყვანონ, მაგრამ იგი პოლიტიკური გზებით რუსეთთან უნდა მოგვარდეს. გარდა ამისა, საკითხი უნდა დაისვას გაეროში, ვინაიდან გიორგაძემ რეგიონის უსაფრთხოებას შეუქმნა საფრთხე, აგრეთვე ევროთათბირსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

უცნაურად მომეჩვენა გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის გამოსვლა. პირველ რიგში ეს საკითხი სწორედ ამ უწყებას უნდა აელვებდეს. ჩვენ რუსეთთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობა უნდა გვქონდეს, ვინაიდან საქმე შინაურ საკითხს არ ეხება. ყოველთვის, როდესაც რუსეთთან შინაურულად ვცდილობთ ლაპარაკს, აუცილებლად ემარცხდებით. ამიტომ საკითხი ორ სახელმწიფოს შორის უნდა დაისვას, როგორც ამას ბალტიისპირეთის ქვეყნები წყვეტენ. საგარეო საქმეთა სამინისტრო კი ის ორგანოა, რომელმაც უპირველესად ეს უნდა გააკეთოს, ვინაიდან რუსეთი არღვევს საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს.

– თქვენ სხდომებზე ანტიკონსტიტუციურად შეაფასეთ საქართველოს კომპარტია. უფრო ვრცლად რა კომენტარს გაუკეთებთ?

– საქართველოში კომპარტია ლეგალური არ გახლავთ. თავის დროზე იგი იუსტიციის სამინისტროსთან მოწყობილი ძალისმიერი მეთოდით, პიკეტით და შანტაჟით იქნა რეგისტრირებული. ეს ის პარტიაა, რომელიც აცხადებს, რომ საპარლამენტო გზით არ აპირებს ხელისუფლებისთვის ბრძოლას, არ აღიარებს საქართველოს სუვერენიტეტს და კონსტიტუციას. მისი წევრების უმრავლესობაც საქართველოს მოქალაქეები არ არიან.

ყველა ნიშნის მიხედვით იგი ასაკრძალია. ასეთი დაჯგუფების დემოკრატობანას თამაში არაფერს გვარგებს. იგი ოფიციალურად რეგისტრირებული მეხუთე კოლონაა საქართველოში. ჩემთვის გაუგებარია, უშიშროების სამინისტრო კომპარტიით რატომ აქამდე არ დაინტერესდა. საქმე ეხება არა პოლიტიკური პარტიის დევნას, არამედ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი დემოკრატიის შენარჩუნებას. თუ იგი ყოველმხრივ გამაგრებული არ იქნა, შეიძლება ნებისმიერ დროს დაემხოს. კომპარტიის მსგავსი დაჯგუფების მოქმედებისას კი ასეთი საფრთხე ძალიან დიდია და მიუღებელიცაა.

– სხდომაზე დაისვა საკუთარი სპეცსამსახურების შესაძლებლობების ამოწურვის შესახებ. ამ მხრივ რა გაირკვა?

– საერთოდ, სპეცსამსახურების მიმართ ბევრი პრეტენზია გამოითქვა. ფაქტია, რომ ისინი იგიორგაძემ საფუძვლიანად დააზიანა. ფაქტიურად, უშიშროების სამინისტრო კომერციულ ფირმად იყო გადაქცეული, რომელსაც ჰყავდა მდარე ხარისხის აგენტურა. რაც მთავარია, მოსახლეობაში ნდობა ჰქონდა დაკარგული. ამის აღდგენა კი რთულია.

– როგორ ფიქრობთ, რატომ არ იქნა შესწავლილი იგიორგაძის პიროვნება მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნისას?

– მაშინ, ალბათ, კომპარტიის წევრი არ იყო, მაგრამ ისეთ სიტუაციაში ვიყავით, რომ შეიძლება სატანის მოვლინებაზეც დავთანხმებულიყავით. ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა სიტუაციაში დაინიშნა იგიორგაძე.

– პრესაში ითქვა, რომ თუკი კონკრეტული შედეგი არ მოჰყვა ასეთ სხდომებს, მაშინ მათ ჩატარებას რა აზრი აქვს?

– კონკრეტული შედეგი გიორგაძის ბადრაგით ჩამოყვანა იქნებოდა. შედეგი ის გახლავთ, რომ თანდათან მივიდეთ იმ დასკვნამდე, თუ რა დონეზე უნდა წყდებოდეს ასეთი საკითხები. გიორგაძის საკითხი მთელი ერის პრობლემაა. უნდა გითხრათ, რომ არც ერთ სხდომაზე ასეთი დიდი ქვორუმი არ გვქონია და პარლამენტის თავმჯდომარეც დაგვესწრო.

პრაქტიკულად, ძალიან მნიშვნელოვანი სხდომა ჩატარდა.

ესაუბრა
ბუბაზ მეგრელიძე

ირინე თევდორაძე:

უმრავლესობა არ იქნება სიკვდილით დასჯის გაუქმების მომხრე

დღეს, პატიმართა უფლებებზე ბევრს ლაპარაკობენ, ხოლო დაზარალებულთა ინტერესებს კი ნაკლები ყურადღება ექცევა. რით არის ეს გამოწვეული?

– მე გახლავართ მსჯავრდებულთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. ამიტომ არავის არ უნდა გაუკვირდეს, რომ ძირითადად პატიმართა უფლებებს ვიცავ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემთან დაზარალებულები არ მოდიან. ყველას ყურადღებას ვაქცევ აუცილებლად კონტროლზე ვიყვან. ამ საკითხებზე ხშირად ვხვდები გენერალურ პროკურორს, შს მინისტრს. შემიძლია დაგისახელოთ. მოკლულია გურჯაანელი გელა ნაცვლიშვილი, გელბაქიანის მშობლები ჩემთან ხშირად არიან. თუხაშვილის, დოჭვირის და სხვათა საქმეები კონტროლზეა აყვანილი. ამიტომ არ შემიძლია ვთქვა, რომ ყურადღებას არ ვაქცევ პრინციპში კი ჩემი უშუალო მოვალეობა პატიმართა დაცვაა. ყოველთვის ვამბობს, რომ ნურავინ გაღიზიანდება, პირიქით, ვისაც დაზარალებულთა დაცვა ევალება, თავისი საქმე აკეთოს. იმისდა მიუხედავად, რომ ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტი არსებობს, ჩემთან დაზარალებულები მუდმივად მოდიან. ბინის საკითხებზეც მოდიან. როდესაც ვხედავ, რომ მათი უფლებები დარღვეულია, არასდროს უარს არ ვუუბნები. შეძლებისდაგვარად ვეხმარები.

ძირითადად ჩემთან პრაქტიკულად დაზარალებული მხარე მოდის, ვინაიდან თვლიან, რომ უდანაშაულოდ არიან დაკავებულნი, ან არის ფიზიკური ზეწოლის ფაქტები. მე საგამოძიებო და სასამართლო საქმეში არ ვერევი. ჩემი მოვალეობაა დავიცვა მათი უფლებები – დავუშვა ადვოკატი, თუ პატიმართან არ უშვებენ, ავადმყოფობის შემთხვევაში რომ მიხედონ, ავტეხო განგაში და დაისაჯოს ისინი, ვინც პატიმარზე ფიზიკური ზემოქმედება მოახდინა, ან თუ დარღვეულია ახლობლებთან შეხვედრის უფლება. მე არავითარი უფლება არა მაქვს განვსაჯო, თუ რამდენად სწორად არის პიროვნება დაპატიმრებული, ან გასამართლებული. თუ ჩემში ეჭვი გაჩნდა, დაპატიმრების ფაქტებზე, მათ შესახებ ძალიან დეტალურად ვახსენებ სათანადო უწყებებს.

ძირითადად კი, ვცდილობ საპატიმროში ადამიანთა უფლებების დარღვევები არ დავუშვა.

– რას იტყვით, საგამოძიებო ვადის გასვლის შემდეგ პატიმართა დაკავების არცთუ იშვიათ შემთხვევებზე?

– ასეთი შემთხვევები მართლაც არის. ორჯერ შევხვდი დაპატიმრებულ ნ.ქარჩიძეს. პარლამენტის სხდომაზეც განვაცხადე, რომ ერთი კვირის მანძილზე სამ პატიმარს შევხვდი, რომელთაგან ერთი 3 წელი, მეორე 4, მესამე კი 5 წელი ელოდება სასამართლოს. ამ შემთხვევაში გამოძიება დროზე დამთავრდა, მაგრამ მართლა ისე არაკვალიფიციურადაა გამოძიებული, რომ სასამართლო იძულებულია კვლავ დააბრუნოს ასეთი საქმეები. მოსამართლეები მეუბნებიან, რომ ამით არაფერი იცვლება. თითქოს რალაცას შეასწორებენ, მაგრამ სასამართლოს განხილვის საფუძველი არა აქვს.

პროკურატურიდან კვლავ დაბრუნებულ საქმეზე მოსამართლე იძულებულია უარი თქვას, რის გამო ეს საქმე ხელიდან ხელში გადადის. გაუსამართლებელი პატიმარი კი უკანონო პატიმარია, ხოლო როდესაც ვეუბნები, ასეთ შემთხვევაში თავდებში გაუშვან, მპასუხობენ საზოგადოებისთვის საშიშროა. არადა ეს საშიშროება სასამართლოს გადასაწყვეტია. ასეთი დისბალანსი ხდება.

– თქვენს გამოსვლებზე ხშირად რეაგირებას ახდენს შინაგან საქმეთა მინისტრი. ეს სიმართლის თქმით არის განპირობებული?

– რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ ამიტომ. ბოლო პრესკონფერენციაზე კახა თარგამაძემ ბრალი დამდო იმაში, რომ პრესას შეუმოწმებელ ფაქტებს ვაწვდი. მსგავსი არც ერთხელ არ მომხდარა. მე ფიზიკური ზეწოლის ფაქტებს ყოველმხრივ ვსწავლობ, ამის შესახებ ვკითხები გამომძიებელს, პროკურატურას, ადვოკატს და შემდეგ ვითხოვ პატიმართან შეხვედრას და ექსპერტიზის ჩატარებას. აქედან იწყება ის, რომ ან პატიმარს არ მაჩვენებენ, ან თვითონ პატიმარი აცხადებს უარს ექსპერტიზაზე. ამიტომ ყოველთვის ხაზგასმით ვამბობ – მართალია ჩემთან ფაქტი შემოვიდა, მაგრამ მის სისწორეზე არ შეიძლება რაიმე ვთქვა. მე შემიძლია რაიმე ეჭვი მქონდეს, რომ ეს ხდება. ბოლო ფაქტზე კი ბუთიკაშვილის შესახებ პრესაში გავახმაურე, რაც კთარგამაძეს ჰქონდა მხედველობაში. მართლაც წამების საშინელი ფაქტი მოვიყვანე. გუშინ სადამოს კი გიორგი ბუთიკაშვილმა სახლიდან დამირეკა და მადლობა გადამიხადა. იგი თავდებში კი არა, სულ გაანთავისუფლეს. აი, როგორც გნებავთ, ისე ახსენით.

– თუ გაქვთ მონაცემები იმის შესახებ, რაზეც ხმები ისმის, თითქოს შს სამინისტროს მე-6–მე-7 სართულებზე ადამიანთა ცემა-წამება ხდება?

–ასეთი ფაქტების შემოწმებას ვცდილობ, მაგრამ ძალიან იშვიათად თუ გამომდის. იყო რევიშვილის მიერ მუცლის გადაჭრის შემთხვევა, ვინაიდან ცემა-წამება ველარ აიტანა. ამის შესახებ ტელევიზიაც გამოვდი. მას შევხვდი კიდევაც, მაგრამ იგი იმდენად შეშინებული იყო, რომ ექიმების მიერ დადასტურებული ფაქტი უარყო. ეს გასაკვირი არაა, ვინაიდან პატიმრები მეუბნებიან, რომ ისინი ასეთი ადამიანების ხელში რჩებიან. ამიტომაც შიში აქვთ. მე რომ ვთქვა, ჩემი თვალით ვნახე ნაცემი ადამიანი, არ შემიძლია. მაგრამ, როდესაც გასამართლებულ პატიმრებს ვხვდები კოლონიებში, ან ციხეში, მაშინ ისინი უფრო გულახდილნი არიან.

სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლებს ყოველთვის ვუბნები, რომ ჩემი მიზანი პატიმრების გამართლება კი არაა, რომელზეც ზეწოლა მოხდა, არამედ თვითონ ხელმძღვანელობამ არ დაუშვას მსგავსი ფაქტი, თვითონვე გამოიკვლიონ და დასაჯონ ასეთი თანამშრომლები.

–მუშაობის დროს ზეწოლას ხომ არ განიცდით?

–ძალიან მიმძიმს, მიჭირს, მაგრამ არ ვნებდები. ამას პირველ ხანებში უფრო ვგრძნობდი. ჩემს ირგვლივ დაზვერვა მიმდინარეობდა: ვინა ვარ, საიდან მოვდივარ, ან რა კუდები მაქვს. მართალია, ვერავითარი მაკომპრომეტირებელი საბუთი ვერ მიპოვნეს, მაგრამ ზოგჯერ ასეთი ფაქტიც ხდება.

პატიმარი მეუბნება, რომ პროკურორს უთქვამს – თევდორაძეს რას მიმართავ. იგი ჩვენიაო. ალბათ, ასე უნდათ პატიმართან ჩემდამი გაჩენილი ნდობა გააქარწყლონ. ანდა ავიცლეებენ ხმებს, თუ ჩემთან ფულს არ მოიტანენ, ისე საქმეს არ განვიხილავ. მოსვლისას კი საპირისპიროში რწმუნდებიან. ამიტომ ჯერჯერობით ეს ბრძოლა მოვიგე. შემდეგში რიგორ იქნება, არ ვიცი.

– დღეს, საპატიმროში 50 სიკვდილმისჯილია. ჯერჯერობით განაჩენის აღსრულება შეჩერებულია, ახალი კანონმდებლობის მიღებამდე. რა ბედი ელით მათ?

– კანონში ცვლილებების შეტანას აუცილებლად უკუქმედების ძალა ექნება. ამ შესწორების მიღება არცთუ ისე ადვილია და იგი შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. არსებულ პირობებში მათი დარჩენა ჩემთვის მიუღებელია. ვთვლი, რომ შეწყალების კომისიამ შესული საქმეები უნდა განიხილოს და ვის შეწყალებასაც საჭიროდ ჩათვლის, ან აღმკვეთი ღონისძიების შეცვლას სათანადო გადაწყვეტილების მიღება აუცილებელია. ხოლო ვის საქმეზეც კომისია გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, ისინი ახალი კანონმდებლობის მიღებამდე გადადოს.

– ახალი კანონმდებლობის პროექტში არის სიკვდილით დასჯის შეცვლა სამუდამო პატიმრობით. არსებობს თუ არა ამისათვის საჭირო აუცილებელი პირობები?

– არავითარი პირობები არ არის. სანამ სპეციალური შენობა არ იქნება, ლაპარაკი მუდმივ პატიმრობაზე ზედმეტია. არ არსებობს იმის გარანტია, რომ ასეთმა პატიმარმა, სასჯელის მოხდისას არ ჩაიდინოს რაიმე უბედურება. თუკი კანონის მიღებას ვიჩქარებთ, მაშინ მასში სამუდამო პატიმრობის შეფარდებას ვერ ჩავდებთ. ამისთვის საზოგადოებაც არ არის მზად. გამოკითხვა რომ ჩავატაროთ, უმრავლესობა არ იქნება სიკვდილით დასჯის გაუქმების მომხრე.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, საზოგადოების გამოკითხვისას ამ ზონის მომხრენი არიან. ამიტომ აქ პოლიტიკური ნება უნდა იყოს გამოხატული პარლამენტის ან პრეზიდენტის მხრიდან.

ესაუბრა ბუბაზ მეგრელიძე

ეპოქის სარკე

ქართველი მწერლები და 1991 წლის 2 სექტემბრის აქცია

ქვეყნდება პირველად

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №50,51,52,53,54,55,56

სტენოგრაფიული ანგარიში
საქართველოს მწერალთა კავშირის
საერთო კრებისა
1991 წლის 12 სექტემბერი

თავმჯდომარეობს –
მუხრან მაჭავარიანი

აკაკი ვასაძე – ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ კომუნისტური პარტია, საბჭოური სისტემის მართვის სტრუქტურები არ უარგვიყვია იმისათვის, რომ ისევ დიქტატურა და დემაგოგია ყოფილიყო. თვალებში კაცი გიყურებდა და ტყუოდა, დემაგოგიის გატანა უნდოდა. რაც მან ფული იშოვა და ჩაიცვა კოსტუმები, სათვალეები გაიკეთა, საიდან?..

მე მინდა მოგახსენოთ, განა ოდესმე ვინმე წარმოიდგენს, რომ მე შემიძლია ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ გალაშქრება, იმდენი ურთიერთობა, იმდენი სიკეთე, იმდენი პური, რაც პირველი კლასიდან 75 წლამდე იყო ჩვენს შორის. 87 წელს, როცა მერაბ კოსტავა ჩამოვიდა, შევურიგდი და მას შემდეგ გვერდში ვუდექი.

აქ, მწერალთა კავშირში, დღეს მე იძულებული ვხდები გამოვაცხადო – მე რომ კონგრესში შევედი, არა იმიტომ, რომ ოპოზიციაში ვიყავი, მთხოვეს კონგრესში, რომ კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ მებრძოლა. მაგრამ მე მასში დავინახე რაშია საქმე. თუ ზვიადს ჰქონდა გარკვეული სუსტი მხარეები, რომ ხალხი, რომელიც დღემდე ჰყავდა და დღესაც ჰყავს, ეს ისეთი ხალხია, რომელსაც შეუძლია თვალებში გიყუროს და ტყუოდეს. ეს არის უსინდისობა. ასეთმა უსინდისობამ გააქცია ლიანა ისაკაძე და ასეთმა საქციელმა გაუხეთქა გული მამარდაშვილს, მსოფლიო მასშტაბის ფილოსოფოსს. მე რომ ეს ვუთხარი ზვიადს, ვისა ხარ ჩაჭიდებული, ისინი არ მოგშორდებიან იმიტომ, რომ ადგილებს არიან ჩაფრენილი, ეს არ მოეწონათ.

მე ვიცი ზვიად გამსახურდია როგორ გაიზარდა, როგორი შემართებით იყო კ.გამსახურდია. ჩვენ ასე ვიზრდებოდით, ჩვენ არც პიონერის ყელსახვევი გვქონია, არც კომკავშირში ვიყავით.

მე მინდა მოგახსენოთ, ბატონო ამირან, და პირდაპირ უნდა გითხრათ – თქვენ არა ხართ ის კადრები, რომლებიც სახელმწიფოს მმართველობაში უნდა იყოთ. შეიძლებოდა განა დღეს ხოშტარიას დანიშვნა მინისტრად?

დღეს საკითხი დგას საქართველოს გადარჩენის და ყოველი ღონე იხმარეთ საამისოდ. მე გთხოვთ, ძალიან გთხოვთ, დაფიქრდეთ. შვილები გვყავს, შვილიშვილები გვყავს, თქვენ ქართველი ხალხის ნდობით ნუ სარგებლობთ და ქართველი ხალხი სულ მტრებად ნუ დასახეთ, ქართველი ინტელიგენცია მტრებად ნუ დაუსახეთ ქართველ ხალხს. ეს არის უბედურება.

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, გავიხსენოთ კონსტანტინე, ს.კლდიაშვილი, დემნა შენგელაია, ლ.ქიაჩელი და სხვები და კეთილშობილებას მოუხმეთ. ხალხი უნდა მოინახოს, ხალხი ამბიციების გარეშე, რომელთაც შეუძლიათ თქვან – ჩემო ძმაო, არ შეიძლება ამ სულელის დანიშვნა და გაანთავისუფლეთ.

ჭაბუა ამირეჯიბი – ის ხედავს, მომგებიანი ხელისუფლება დღეს არ არსებობს – ესვრის – დაიღუპება, არ ესვრის – დაიღუპება. არის ერთი გამოსავალი, დაუბრუნოს ის უფლებები, რაც მიიღო. ჩამოყალიბდეს მინისტრთა საბჭო და სრული უფლება მიეცეს მინისტრთა საბჭოს. სხვა გამოსავალი დღეს არ არის ან ერთი – ჩააბაროს უკან ის სამთავრობო უფლებები, რაც მას პარლამენტმა მისცა.

მუხრან მაჭავარიანი – ძვირფასო მეგობრებო, მე ჩემი პოზიცია ვთქვი. ეს ჩაწერილია და მოგახსენეთ თქვენ... გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ამ წუთში მეამაყება, რომ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ვარ. დავრწმუნდი – ყველა, ვინც აქ გამოვიდა, ყველა კაცი და ყველა დედაკაცი იყო გულწრფელი. ასევე გულწრფელი ვიყავი მე, შეიძლება ერთიც განაწყენებული იყო, მეორეც და მათი აზრი არ ემთხვეოდეს ერთმანეთს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ვინც აქ სიტყვით არ გამოვიდა, მას შეეშინდა თავისი გულწრფელობის. ბევრი რამე მე არ მომეწონა, ზოგი მომეწონა, მაგრამ საბოლოოდ ჩემი აზრი ასეთია, თუ დამიჯერებთ, კარგი იქნება, თუ არადა, ბევრი რამ არ დაუჯერებიათ და ის გამართლებულა.

ვიფიცებ ღვთისა და ერის წინაშე – ამას ვლაპარაკობ არა მეგობრობის გამო და არა იმის გამო, რომ მის გვერდით ვარ, – მე მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე აუცილებლად უნდა იყოს პრეზიდენტი. რაც შეეხება მის შეცდომებს, რაც თქვენ ბრძანეთ, მე შემიძლია უფრო მეტი ვთქვა. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ეს კაცი უნდა იყოს ახლა, ამ ეტაპზე პრეზიდენტი. მერე თუ გვეღირსა, უკეთესი მერე გადავირჩიოთ.

აქ მიტინგებიც ბევრი იყო, კრებებიც ბევრი ჩამიტარებია. აქ მერაბ კოსტავაც იყო, ზვიად გამსახურდიაც, წერეთელიც და ჭანტურიაც. მე, როგორც კრების თავმჯდომარე, მოგახსენებთ, რომ ჩვენ ახლა რეზოლუციას ვერ გამოვიმუშავებთ იმიტომ, რომ ძალიან განსხვავებული აზრებია ერთგანაც და მეორეგანაც...

მე ძალიან მომეწონა გურამ გვერდწითელის წინადადება... მან წამოაყენა ასეთი წინადადება. რეზოლუცია ჩვენ არ გამოგვაქვს. სამდივნომ, რაც ლაპარაკი იყო, ეს მოვიყვანოთ სისტემაში, მივიდეთ, გავაცნოთ პრეზიდენტს და ოპოზიციასაც. ჩვენ რომ რეზოლუცია გავაკეთოთ, იქ არ აისახება ეს გულწრფელობა. მე ეს გამართლებულ წინადადებად მიმაჩნია. ეს გავაკეთოთ, სისტემაში მოვიყვანოთ და გადავწყვიტოთ კიდევ რამდენი კაცი ჩავრთოთ ამაში.

(იზა ორჯონიკიძე – ბანამ ეს დაიშიფრება, საბოლოოდ ომის �შიშროებან რას უბამთ? დავგმოთ 2 სექტემბრის ამბავი და ხელისუფლებამ პასუხი აგოს).

მ.მაჭავარიანი: აქ გამოითქვა ორი აზრი. ჩემთვის გარკვეული არ არის ვინ არის დამნაშავე. ეს რომ გარკვეული იყოს, მე არც ერთ სიტყვას არ ვიტყოდი (ხმა – გარკვეულია!). როგორ გეკადრებათ!.. აქ გამოვიდა ზოგიერთი და ისე თქვა, თითქოს ზუსტად იცოდეს, თითქოს ზუსტად არის გარკვეული... (ხმა – გასარკვევი არაფერი არ არის, ვინც წავიდა წინაალმდეგი, განა ყველა მომხრეა?..)

ჩვენ ვგმობთ, რა თქმა უნდა, 2 სექტემბრის აქციას... (იზა ორჯონიკიძე – პასუხისმგებლობა დავაკისროთ და შემდეგ გამოვიძიოთ)...

მ.მაჭავარიანი: ნოდარ გრიგალაშვილმა რაც ილაპარაკა, მე ყველაფერი ვიცი. შვილებს არ დავზოგავ, მე ვარ დარწმუნებული... (აწყვეტინებენ. ქალბატონის ხმა ადგილიდან – მე შეიძლება ძალიან გულუბრყვილოდ ვამბობ – იქნებ ზვიად გამსახურდია ამ კედლებში აღადგინოთ, როგორც მწერალთა კავშირის წევრი, საიდანაც ის გაირიცხა. ის ითვლება მწერლად, მას აქვს წიგნები, ლექსები. ნუთუ არ შეიძლება?.. რა საჭიროა რეზოლუციების შექმნა? განა არ შეიძლება ის, როგორც მწერალი მწერლებთან მოვიწვიოთ და გავუმართოთ გულახდილი საუბარი. რატომ არ შეიძლება პრეზიდენტი მოვიდეს მწერლებთან, ან ჩვენ მივიდეთ, მაგრამ ყველა მწერალი... (აწყვეტინებენ ლაპარაკს)...

მ.მაჭავარიანი – მე შეიძლება ვთხოვო ბატონ პრეზიდენტს, მაგრამ მომცემთ პირობას, რომ ასეთი გულწრფელი ლაპარაკი იქნება.

მე მგონი, ეს ყველაფერი მოვისმინეთ. მოვამზადოთ, წავიკითხოთ და თქვენი სურვილიც ვუთხრათ. ოპოზიციამაც გაიგოს ჩვენი აზრი, გაიგოს მთელმა საქართველომ.

ც.არდაშელია – ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, ვინ გასცა ბრძანება. მოვიდნენ ქართველი ომონელები, ჯერ ხელჯოხებით სცემეს, შემდეგ ხალხმა ქვები დაუშინა და შემდეგ სროლა ატეხეს. ჯერ გაიქცნენ, შემდეგ შემობრუნდნენ და დაუწყეს ხალხს ცემა. რა არის აქ გასარკვევი? ხელისუფლებმა გამოუგზავნეს ომონელები მომიტინგეებს. მე მოწმე ვარ ამისა, მე თვითონ ვნახე.

(ხმა ადგილიდან – ვინ გამოგზავნა? რასაკვირველია, ზვიად გამსახურდიამ. განა შეიძლება დაშვება იმისა, რომ მან ამ ბრძანების შესახებ არ იცოდა?.. და თუ ის ბრძანებას იძლეოდა, განა შეიძლებოდა არა საცოდნოდა, ამ ბრძანებას რა შედეგი მოსდევდა?)..

მ.მაჭავარიანი – გურამ გვერდწითელის წინადადება მოგწონთ თუ არა. ქალბატონმა ნელიმ რაც ბრძანა, ეს კარგია, მაგრამ ხალხმაც ხომ უნდა გაიგოს? მე ასეთი მოსაზრება მაქვს – აი, რას იტყოდით თქვენ! – მე მივმართავ მდივნებს, მწერლებს – ეს ყველაფერი გამოვაქვეყნოთ (ხმა დარბაზიდან – სტილისტურად შესწორდეს). (ხმები – კარგია, კარგი!..).

გაგრძელება იქნება

ვინ ოცვალტრა თავადის ქალს?

შტრიხები ალბრიგოედოვის სოციალური პორტრეტისათვის

მე-19 საუკუნის პირველი ოცწლეულის რუსეთის ჯარის სისხლისმღვრელი სარდალი – გენერალი ალექსეი ერმოლოვი, რომელიც ალმერთმა უწყის, რისთვის იყო წოდებული „ცეზარად“, ფლობდა მთელ კავკასიას. სწორედ ეს უკანასკნელი გახლდათ რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის ფავორიტი, რომლის უშუალო მითითებითაც ერმომოწმენე საქართველო გადაიქცა რუსეთის მეტროპოლიად. ერმოლოვმა გამოავლინა რა თავისი უზადო გემოვნება, გადამთვალა ხალხთან, ჩინოვნიკებთან, რუსეთის შეგზავნილ ოფიცრობასთან და სხვა ნაძირალებთან ერთად (მცირე გამონაკლისის გარდა) ძირითად და მუდმივ რეზიდენციად კავკასიაში გაიხადა ყველასათვის ხელმისაწვდომი, თბილი და მოალერსე თბილისი თავისი ევროპიული ეგზოტიკით, უძველესი კულტურითა და განუმეორებელი გასტრონომიული სტუმართმოყვარეობით.

მუდმივად საქმეებზე გაწყობილ სუფრასთან მიმჯდარი რუსი გენერალიტეტი, ოდიოზური ოფიცრობა, ვითომდა საქმიანი ჩინოვნიკები, დიპლომატები თავიანთ ბრმა სიძულვილს ყოველივე არარუსულისადმი, კერძოდ კი ქართულისადმი გამოხატავდნენ გაუთავებელ ინტრიგებსა და არასაჭირო ომების გაღვივებაში. ისინი გაწაფულნი იყვნენ სიბილწესა და საზიზღრობაში, ძალადობაში, რაშიც ბადალი არ ჰყავდათ და საიდანაც, როგორც წესი, ყოველთვის გამარჯვებულნი გამოდიოდნენ. ხელთ კი მუდამ ჰყავდათ „ჯანტლმენების ვიცი“ – ადგილობრივი მოსახლეობა. განსაკუთრებით ღვარძლიანები იყვნენ ქართველების მიმართ, ვინაიდან ცხოვრობდნენ რა ამ ოჯახურ-ნათესაობრივი კლანებით, ცდილობდნენ ყოველმხრივ განემტკიცებინათ თავიანთი „სიმშვიდე და მყარი ზურგი“. პროვოცირებული სახალხო გამოსვლების შემდეგ, რომლის თავკაცად თვით გენერალი ერმოლოვი ბრძანდებოდა, ქვეყანაში შეეკვეთათ ტოტალური ეგზეკუციები, მოსახლეობის სიცოცხლის შენარჩუნების ფასად ხდებოდა ჯერ კიდევ დარჩენილ ფასეულობათა ბოლომდე ამოღება, მეამბოხეთა ჩამოხრჩობა, მათი ოჯახის წევრების გატარება ხელკეტებით მომარჯვებულ ჯარისკაცთა რიგებში. იბუგებოდა სოფლები, ინეხებოდა ვაზი და ხეხილი, რითაც მრავალი ოჯახი განწირული იყო შიმშილისათვის. „სახელგანთქმული“ მწერლის სანუკვარი ოცნება გახლდათ რუსეთის ქვეშევრდომად გადაქცია ყველა თავისუფლად მოაზროვნე არარუსი ერეწების ადამიანი. უსამებდნენ რა ერთმანეთს სასიამოვნოსა და სასარგებლოს, იმპერიის წარგზავნილები ერთობოდნენ, მდიდრდებოდნენ. ცნობილნი ხდებოდნენ...

დაახლოებით ასეთ ან გაცილებით უარეს სიტუაციაში უხდებოდათ ცხოვრება და მოღვაწეობა აპუშკინს, მლერმონტოვს, აოდოევსკის და სხვა თავისუფალ მოაზროვნეებს, დეკაბრისტებს, რომელთა უმრავლესობაც იმპერატორის ბრძანებით სისხლით იოცხავდა „ახალგაზრდობის შეცდომებს“. იყვნენ კარიერისათვის ჩამობრძანებული მოხალისეებიც, მათ შორის გენერალ ერმოლოვის საყვარელი აღზრდილი, რუსული დიპლომატიის მდივანი ალმოსალეთში, ავტორი პიესისა „ვაი ჭკუისაგან“, საქართველოს მომავალი სიძე, მოგვიანებით რუსეთის რწმუნებული მინისტრი, იმპერიის რეზიდენტი სპარსეთში ალექსანდრე გრიბოედოვი.

მგრავალი გენერალი ფრიად კმაყოფილი იყო ახალგაზრდა ჩინოვნიკის თავგამოდებითა და მეცადინეობით. სწყალობდა მას. აქებდა „ვაი ჭკუისათვის“. დაწერილს ახალგაზრდობაში. თბილისში თვით გრიბოედოვი კი ხშირად იმყოფებოდა მთავარსარდლის სახლში. ითვლებოდა ახლობელ ადამიანად. იგი ასე უყვებოდა მეგობრებს თავისი „პატრონის“ შესახებ: „გარდა იმისა, რომ ის ჭკვიანია, როგორც ჭეშმარიტი რუსი, გამოსადეგია როგორც დიდ, ისე წვრილმან საქმეებისათვის... ამასთან საოცრად მჭევრმეტყველია... მისი სიტყვები ახლავე შეგიძლიათ ქალალდზე დაალაგოთ... კანონით მე არ ვამართლებ მის ზოგიერთ თვითნებურ ქმედებებს. მაგრამ გავიხსენოთ, რომ ის ბაზიერია. – აქ ხომ ბაგშვიც კი დანას ეპატიჟება...“

იმისათვის, რომ გავარკვიოთ, თუ „ვინ ვინ იყო და ვინ რად ჩამოაყალიბეს“, გრიბოედოვის სოციალური პორტრეტისათვის მოვიყვან ზოგიერთ შტრიხს. როდესაც მან შეიტყო, რომ ერმოლოვი, შეიძლებოდა რეალურად შეცვლილიყო გენერალ პასკევიჩის მიერ (იგი მწერლის ახლო ნათესავი იყო), გრიბოედოვმა ძალ გენერალიტეტს განუცხადა: „ჩვენს ბრწყინვალე ერმოლოვს ვერავინ შეცვლის და ეს უკანასკნელი (პასკევიჩი) იძულებული გახდება გაბრძანდეს კავკასიიდან“. „ბატონიკიტატები შეკრებილია სსრკ ენციკლოპედიიდან, იტინიანოვის, მ. და ტ. მურატოვების, ვმეშერიაკოვის წიგნებიდან, სხვა ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული წყაროებიდან „გრიბოედოვის შესახებ – ავტ.). ეტყობა ჩვენს „გმირს“ ამგვარი სვლა იმისათვის დასჭირდა, რომ თუ იმპერატორი მოხუცი გენერლის მომართ თავის რისხვას შეცვლიდა შეწყალებით და დაუფუძებდა მას საჯესთან, მაშინ გრიბოედოვიქული ვითომდა უნებლიედ ნასროული სიტყვა თავისი უახლოესი ნათესავის მიმართ ორმაგად საეჭვლებოდა; და თუ სათავეში მოვიდოდა მეორე, მას რჩებოდა შანსი ნათესაური კავშირით ეოგვარებინა ეს „გაუგებრობა“. ამავე დროს გრიბოედოვი პეტერბურგელ მეგობრებს სწერდა: „კავკასიაში დღეს სხვა ომია. ორი უფროსი გენერალი სამკვლურ-სასიცოცხლო ბრძოლაშია ჩაბმული. ჩვენ კი, ქვეშევრდომებს, ბუნდოვანი...“

1827 წლის დასაწყისში ერმოლოვი მაინც გადაყენეს და იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ნებით გენერალი პასკევიჩი დაინიშნა კავკასიის ჯარების სარდლად. რასაკვირველია, გრიბოედოვისათვის ყველაფერი კეთილად დასრულდა ყოველივე თავის კალაპოტში ჩადგა. სხვა „ერმოლოველებთან“ შედარებით უკეთესის ნაცვლად მწერალმა – დიპლომატმა წინსვლაც კი განახორციელა.

ცნობისათვის: კავკასიისა და საქართველოს მბრძანებელი გენერალი პასკევიჩი იყო ამ რეგიონის ჭეშმარიტი უზურპატორი. მეტსახელად „მხარის უდიდესი დამპყრობელი“. განსაკუთრებით ვერ იტანდა ქართველებს. თვლიდა რა მათ იმპერიის უპირველეს მტრებად. (იხ. იპასკევიჩი „კავკასიის დაპყრობა“. თბ., 1901, ქსა). იგი გახლდათ სრულიად გაუნათლებელი. ყველა მის მიმოწერას განაგებდა გრიბოედოვი. აი, რას წერდა იგი თავის მეგობრებს ამის შესახებ: „ჩემი დღევანდელი უფროსის- „უზარმაზარი მიმოწერა მთელ დროს მართმევს...“ უნიჭო გენერალი თავის ბნელ საქმეებს აგვარებდა ფულით, ინტრიგებით, სისხლით, ელალთმიანი ჯუჯა გენერალი ახრჩობდა კავკასიას. ერთპიროვნულად განაგებდა ე.წ. „მცირე ხალხთა“ ბედ-იღბალს. მარიონეტულ მთავრობებს და მათ ხარჯზე აწყობდა რუსეთის იმპერიის ბედნიერებასა და საკუთარ კეთილდღეობას.

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ (1826–28 წწ.) გრიბოედოვი, როგორც დიპლომატიური მისიის მდივანი, უშუალო მონაწილეობას იღებდა „თურქმენ-ჩაის“ ხელშეკრულების დამუშავებაში, რომელიც იმჟამად აწყობდა რუსეთის დაუცხრომელ იმპერიას. „თურქმენ-ჩაის“ ტრაქტატის შედეგად რუსეთმა ჩაიჯიბა ათასობით მილიონი მანეთი, ამასთან ერეკნის, ნახიჩევანის სახანოები, ოფიციალურად დადასტურდა უფლება ადრე უკვე მიკუთვნებულ კავკასიისა და ამერკავკასიის მთელ რიგ ოლქებზე და სხვა. აღნიშნული დოკუმენტის მიტანა იმპერატორის კარზე პასკევიჩმა შეგნებულად დაავალა (მისივე თქმით) თავის მარჯვენა ხელს, უახლოეს ნათესავს გრიბოედოვს. ფავორიტს გენერალმა პირადი წერილიც გაატანა საყვარელ იმპერატორთან ნიკოლოზ პირველთან, რომელიც უახლოეს კავშირში იყო მასთან (ახალგაზრდობაში მომავალი იმპერატორი პასკევიჩის ხელქვეით მსახურობდა და გენერალს რამდენჯერმე დახსნილი ჰყავდა იგი, რისთვისაც ნიკოლოზი ემადლიერებოდა მას). პასკევიჩი წერდა: „მე უფლებას ვაძლევ თავს რეკომენდაცია გავუწიო აგრიბოედოვს, რომელიც ჩემთვის ძალზე გამოსადეგი იყო პოლიტიკური საქმიანობის მხრივ. მის გარეშე ვერ მივაღწევდით სასურველ შედეგს.“ შემდგომ გრიბოედოვი ღირსი ხდება იმპერატორის პირადი აუდიენციისა და მონარქი თავისუფლად ესაუბრება მას კავკასიის საქმეებზე ერთგული სამსახურისათვის იგი ჯილდოვდება ალმასებით გაწყობილი წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენით, დიდი ფულადი ანაზღაურებით, მოგვიანებით კი მაღალი თანამდებობით.

თექვსმეტი წლის თავადის ასულმა ნინო ჭავჭავაძემ იგი გულწრფელად შეიყვარა და სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა მას. ზოგიერთს შეიძლება კითხვა დაებადოს: რა არის აქ ასეთი უცნაური, არაჩვეულებრივი? ბოლოს და ბოლოს ყოველი ჩვენთაგანი ცხოვრობდა, ცხოვრობს და იცხოვრებს ისე, როგორც ბედი გაუღიმებს. ყველას აქვს უფლება იმგვარად წარმართოს თავისი არსებობა, როგორც მოესურვება, თავისი გემოვნების, საკუთარი ილეთების, შესაძლებლობებისამებრ. რა არის აქ გასაკვირი?! შეიძლება თაყვანს სცემდე ჯერ ერთ უზურპატორს, მერე მეორე სისხლისმსმელს, მესამემდე ვეღარ იცოცხლო, რა არის ამაში არაჩვეულებრივი? ახალი? არაფერი! ასეა სამყარო მოწყობილი და ამაზე დავამთავრებდით, რომ არ ყოფილიყო. მაგრამ...

პეტერბურგში მშვიდობის პაკეტით ჩასულმა გრიბოედოვმა კარლ-რობერტ ნესელროდეს – იმპერიის პოლიტიკის ხელმძღვანელს გადასცა თავის მიერ შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური პროექტი ამერკავკასიის, კერძოდ კი საქართველოს საბოლოო დამონების შესახებ. მასში აღნიშნული იყო შემდეგი: „...რუსეთის სახელმწიფოსათვის მთავარია გამოკვების საშუალებანი, შემოსავალი სანდო და წანამატიანი, რომლებიც მოიმატებენ ჩვენი ცხოვრების სიკეთისა და სიამოვნების კვალდაკვალ... ქვეყნის ჩრდილოეთ და შუა სამხრეთ ნაწილებში მრეწველობა და ვაჭრობა უკვე განვითარებულია... არ გვყოფნის მხოლოდ თბილი და ცხელი კლიმატის წარმოებული... და იძულებული ვართ ყოველი დავისესხოთ დასავლეთ და სამხრეთ ევროპისა და შუა აზიის ქვეყნებიდან. ევროპული ვაჭრობა კიდევ სარგებლიანია რუსეთისათვის... მაგრამ აზიური არასასარგებლოდ იხრება. იმპერიას არ აწყობს ხშირი ამბოხებები ამიერკავკასიაში. განსაკუთრებით მის სამხრეთში, სადაც წარმოიშობა ახალი წესრიგის დამყარებისადმი უკმაყოფილებანი... ამიერკავკასიაში არ წარმოქმნილა არც ერთი ფაბრიკა, არც მიწათმოქმედება, არც მეტალურგია. ამის გამო თბილელი ვაჭრები საქონლისათვის დადიან ლეიფციგში, სპარსეთში და ყველს წარმატებით ყიდიან... კლიმატური პირობები სულ სხვა არის, ბუნებრივი ნაწარმი მრავალნაირია და მდიდარი. აქ ყურძენია, ციტრუსი, აბრეშუმი, ბამბა, ინდიგო, შაქრის ლერწამი, რა თქმა უნდა, ზღვაოსნობა... რუსეთის მეწარმეთა მეცადინეობანი დარჩებიან ფუჭად, თუ ერთ მუჯში არ მოვიკრიბეთ კაპიტალი, თუ ვერ შევქმნით ამიერკავკასიისაგან კაპიტალისტ-მეწარმეთა ერთიან საზოგადოებას... ეს უნდა გახდეს ე.წ. ახალი „აღმოსავლეთ-რუსული ინდოეთი“, უნდა აშენდეს ციხე-სიმაგრეები, ჩადგეს ჯარი... და მაშინ ევროპის ქვეყნების სწრაფვა გაცხოველდება სამეგრელოს, იმერეთის, კახეთის და სხვა რეგიონთა მიმართ და რუსეთი შესთავაზებს შემოსულთ იმ კოლოსალურ წარმოებულს, რომელთაც ისინი ეძიებენ დედამიწის მეორე სფეროში... რუსეთი მიიღებს ინგლისის მნიშვნელობას (მხედველობაშია ინგლისის ვესტინდოეთის კოლონიის პროტოტიპი – ავტ.)...

ეს ექსტრემისტულ-ჰეგემონისტური კომპლექსური გეგმა რუსების ინტერესების შესაბამისად საქართველოს გადაგვარების შესახებ და სხვა მრავალი ფეოდალურ-ფეოდალური წინადადებები გაანალიზებული და გათვალისწინებული იყო მწერალ-დიპლომატის მიერ „მშობლიურ“ თბილისში წლობით ცხოვრების დროს. იგი მასზე ფიქრობდა (ალბათ უფრო მეტზეც). როდესაც აქტიურად მონაწილეობდა თავისუფლებისმოყვარე კავკასიელი ხალხის წინააღმდეგ ლაშქრობებში, ერევნის ციხე-სიმაგრის აღებისას და ა.შ. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მისთვის ომი, ულეტა, ხოცვა იყო რომანტიკული თავგადასავალი, ხოლო სახელმწიფო სამსახური „...იყო რუსეთის პოლიტიკის გატარებისა და რუსეთის მოთხოვნილებისადმი პატივისცემა!...“ შესაძლოა ისიც, რომ რუსი მწერალი თავის მზაკვრულ გეგმებზე ოცნებობდა მაშინაც, როცა მშვენიერ ჩინოს ეარშიყებოდა...

გრიბოედოვის კიდევ ერთი „იდეა ჩვენი საზოგადოების გარდაქმნის შესახებ:“ „...აქამდე რუსეთიდან ჩამოსული ჩინოვნიკი ოცნებობდა მხოლოდ ჩინის ამაღლებაზე და არ ფიქრობდა იმაზე, თუ რა იყო აქ მის ჩამოსვლამდე და რა იქნება მისი წასვლის შემდეგ იმ მხარეში, რომელიც თითქოსდა მისთვის არის დაპყრობილი... უნდა დაასაქმოთ ყველა ადგილობრივი მოსახლეობა, ვაჭრუკანებიც კი, რომელთაც არ მოაქვთ არავითარი სარგებელი რუსეთის ხაზინისათვის... იქ მრავალნი დგანან გაკოტრების წინაშე და მუქთად გაყიდიან ყოველივეს...“.

რეალური ეკონომიკური, შესაბამისად პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში (თუ ვიტყვით სსრკ ენციკლოპედიის სიტყვებით, ავტ.) „უდიდეს რუს დრამატურგს. პოეტს და გამოჩენილ დიპლომატს დაებადა „იდეა-ფიქი“, რომლის ფაბულაშიც იდო ჩვენში ციტრუსების პლანტაციების გაშენება, რათა სრულად მომარაგებულიყო რუსეთი ზამთარში ხილით, გამოყენებულიყო შესანიშნავი მინდვრები აბრეშუმის მოსაყვანად, ჩაის კულტურების მოსაშენებლად და საერთოდ ამ ადგილებში უნდა დაკავებულიყვნენ მიწის უქონელი რუსი გლეხები, რომლებიც აითვისებდნენ ამ მიწებს და რომელთა შვილებიც იქნებოდნენ „თავისუფლები“. (ვინ იცის მკითხველო, შესაძლოა ჩვენს საერთო „ბედნიერებას“ საფუძვლად უდევს ამ „თავისუფალი მოაზროვნის“ იდეები, რადგან ნათქვამია: „მთავარი ის კი არ არის, ვინც დაამთავრა, არამედ სწორედ ის, ვინც დაიწყო!“

ამ სიბოროტით აღსავსე პროექტში ჩაგვრის სხვა ელემენტებიცაა ჩაქსოვილი ჩვენს მიმართ. მათ მიმართ, ვინც ქრისტიანობა ხუთი საუკუნით ადრე მიიღო, ვიდრე „დიდმა რუსმა ერმა“ და ვისაც დამწერლობა ოდითგანვე მოსდევს. დასანანია, რომ ამ პროექტის ავტორი გახლდათ ჩვენი სიძე, რომლის სიმამრიც იყო იმ დროისათვის ცნობილი პიროვნება, პოეტი, გენერალი, თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე. დასანანია!

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გრიბოედოვი თავისი სამრეკლოდან რეკავდა. ორიგინალური ახროვნების მწერალი – დიპლომატი რუსეთის იმპერიის კარზე წარსდგა როგორც ჭეშმარიტი პარტიოტი, რომელიც მზად იყო ყოველნაირად ემოქმედა თავისი სამშობლოს საკეთილდღეოდ. რისთვისაც მას უძღვნეს რუსეთის იმპერატორის უდიდესი მადლობა და მშვენიერი ქალიც გააყოლეს (ზოლოდ ხშირად ღალატობდა მას – ავტ.).

სპარსეთში ახლად დაწინაურებული მინისტრი – რეზიდენტი გრიბოედოვი გზად მიმავალი ასე მიმართავს პასკევიჩს: „მფარველო ჩემო, უძვირფასესო მფარველო ჩემო...“ პასუხად გენერალი გაუღიმებს და შუბლზე ამბორით ჩაეკითხება, – „როგორ იმგზავრეთ?... რა ხდება პეტერბურგში?“ – „თქვენი წყალობით, მფარველო ჩემო, კეთილად ვიმოგზაურე... მხოლოდ თქვენს შესახებ საუბობენ ხელმწიფეძალიან უკეთესად... ყოველი თქვენი ამბის საუბლოცვებით გიხსენიებენ“. გენერალი სიამოვნებით ეტყვის, – „უმორჩილესად გმადლობთ. ჯერ ადრეა და პირადად მე მომახსენოთ იმპერატორის შეტყობინებები. რაც შეეხება სპარსეთს, მე ფული მჭირდება. ღმერთი არა ვარ, უფულოდ ომი არ შემიძლია. საჭიროა თქვენი წასვლა... მე ვიჭვრეტ ყველას, თუ როგორ უნდა კავკასიის შენარჩუნება... ჩავამთავრებ კამპანიას და გამოგიძახებთ სპარსეთიდან. გაძელით ერთი თვე... თქვენ შეგცვლიან. თქვენ იქნებით ჩემი თანაშემწე“.

– „მფარველო ჩემო, კეთილისმყოფელო ჩემო, რა ელის ჩემს პროექტს?“

– „მისი დროც დადგება“. – „ჩემო კეთილისმყოფელო, მაქვს თქვენდამი უდიდესი თხოვნა. მსურს დავქორწინდე და არ მაქვს შესაძლებლობა მოკლე დროში წასვლამდე მოვიღო მისი უმაღლესობის ნებართვა, გამიწიოთ მამობა“. – „ვის?ზე აპირებთ დაქორწინებას?“. – „კითხავს პასკევიჩი და სიამოვნებით ჩაიცინებს...

კიდევ ერთი შტრიხი: აი, რას სწერს გრიბოედოვი პასკევიჩს: „ფრიად პატივცემულო მფარველო ივანე თედორეს ძვ. როგორ გაიფიქრეთ, რომ მე არ გატყობინებთ ჩემი ქმედებების შესახებ... მე ყველა წვრილმანი მომაქვს თქვენამდე იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მე გათავისებული მაქვს ყოველი, რაც თქვენ გაინტერესებთ და გეხებათ“.

ვიცი, რომ თავზე დამატყდება ოპონენტთა რისხვა, ისინი ხომ თავიანთ დიპლომებში, დისერტაციებში, მონოგრაფიებში, სტატიებში ჭკუის დაკარგვამდე გაპყვიროდნენ, რომ გრიბოედოვი „ჩვენი ბიჭია“, რომელიც ახლო იყო დეკაბრისტებთანაც, რისთვისაც დააპატიმრეს კიდეც. მალე იგი განთავისუფლდა „ორისტიტელნოი გრამოტის“ საფუძველზე, რომელსაც პირადად იმპერატორი ნიკოლოზ პირველი აწერდა ხელს. შემდგომ მწერალ-პოლიტიკოსს მიეცა წლიური კომპენსაცია და დაწინაურდა. 1825 წელს სენატის მოედნის მეამბოხეები კი ზოგი ჩამოახრჩეს, ზოგი გადაასახლეს, ზოგიც სასტიკად დასაჯეს. გრიბოედოვი აქაც „მშრალი გამოვიდა წყლიდან“. როგორ? რა ვთქვათ ამაზე?! როგორ გავიგოთ ყოველივე?! უნებლიედ გეებადება ეჭვი, ხომ არ შეიცვალა მწერალმა ახალგაზრდობის იდეალი და გახდა იმპერიის ერთგული მსახური. ხომ არ უღალატა თავის ჩაცკის. აკი ეუბნებოდა „ჩვენი გმირი“ მეგობრებს: – „ეხ, რა ვქნა, მე უფრო მეტი ვლირვარ, ვიდრე გამაჩნია“.

ერთი ფაქტიც: თბილისის სამხედრო გუბერნატორმა, გენერალმა ნიკოლოზ სიპიაგინმა, მეფვლისის დროს „უყურა რა თავადის ქალ ნინო ჭავჭავაძესთან მოცეკვავე გრიბოედოვის მოხრილ ზურგს, თქვა: „არა, ეს ქორწინება ანგარიშითაა. მე კილომეტრზე ვცნობ შეყვარებულებს. სუნიც არ უდის. მას საქართველოზე აქვს თვალი, მე ამაში დარწმუნებული ვარ. აფსუს, კარგი გოგონა“. დიახ, ცოტაოდენი ფანტაზია და არცთუ ძნელია მწერალ-დიპლომატის კავკასიის რეგიონალური კომიტეტის ხელმძღვანელად წარმოდგენა, რომლის შექმნის პროექტზეც გრიბოედოვს არაერთი ღამე უთენებია. მის დანიშვნას ამ, თუ ამგვარ წამყვან პოსტზე საქართველოში (კავკასიაში – ავტ.) ბევრად შეუწყობდა ხელს ბრწყინვალე ალექსანდრე ჭავჭავაძის სიძეობა, რომელიც დიდი პატივით სარგებლობდა მხარეში.

გრიბოედოვზე შექმნილ ბევრ ნაწარმოებში ვკითხულობთ, რომ მთაწმინდის პანთეონში მწერლის ცხედრის აკლდამაზე აღბეჭდილია მეუღლის – ნინო ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „Ум и дела твои бессмертны в памяти Русской, но для чего пережила тебя любовь моя“. წარწერის პირველ ნაწილში კარგად ჩანს, თუ მწერალ-პოლიტიკოსის საქმენი ვისთვის იქნება უკვდავი. რაც შეეხება ტექსტის მეორე ნაწილს, იგი ეკუთვნის რუს მწერალ იპოლონს.კის. დიახ, ბევრი არასაჭირო რამაა ჩვენს ისტორიაში. ჰაერივით გეჭირდება სუფთა ჰაერი! მოვა? არ მოვა?! უცნაური ერი ვართ ქართველები: ერთმა შეიმუშავა საქართველოს ბოლომდე დამონების ოდიოზური გეგმა, მადლობა ვუთხარით, ბახ! – ძეგლი წამოვუჭიმეთ. მეორემ უდიდესი „სიყვარულით“ ხოტბა შეგვასხა იმაზე, რომ ვართ მშიშრები, ლაჩრები, მუდამ მტრის ზურგის შემქცევნი, ბახ! – კიდევ ძეგლი და თანაც როგორი! ზურგზე. ხურჯინში ჯვრის მონასტერი აქვს მოყუჩებული (ვინ იცის, საით და რისთვის მიათრევს მას ლერმონტოვი?! – ავტ.). პატიოსან და დიდ პუშკინს კი, რომელმაც უდიდესი სიყვარულით უმღერა საქართველოს, პატარა ბიუსტიც ვამყოფინეთ. სამართლიანია?

არა, მე როდი მოგიწოდებთ, რომ ვებრძოლოთ სიმბოლოებს, ვინაიდან ისტორია გვასწავლის, რომ არ არსებობს იმაზე სასაცილო ერი, რომელიც იბრძვის სიცოცხლისათვის სიმბოლოების განადგურების გზით. ბავშვისთვისაც კი ნათელია, რომ სიმბოლოების შემქმნელები და დამანგრეველნი ძალზე ჭგვანან ერთმანეთს, ვინაიდან პირველნი ითბობენ ხელებს მათ შექმნაზე, ხოლო მეორენი მათ განადგურებაზე. სჯობს ხშირად გავიხსენოთ დიდი ლეოპოლდ ტროცკის სიტყვები: „ყურადღებით იყავით, რათა არ მოგიხდეთ ამის თქმა: ჩვენ განვშორდით მათ, ვინც უნდა შემოგვენახა და შემოვინახეთ ისინი, ვისაც უნდა განვშორებოდით“ და არ შევიქმნათ კერპები. მით უფრო იქ, სადაც მათი სულებიც კი არ არსებობენ.

ფერდინანდ (ჯემალ) ბეთანელი
ჟურნალისტი, დოცენტი

საინტერესო ინტერვიუ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან

ერვე დე შარეტი: კავკასია საფრანგეთისთვის სტრატეგიული ზონაა

„ფიგარო“ თქვენ ეს–ეს არის მოიარეთ სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი. ხომ არ შეშობთ, რომ ფრანგებისათვის კავკასია მათ სასიცოცხლო ინტერესებს ერთობ დაშორებული მხარეა?

ერვე დე შარეტი – საჭირო. რომ ფრანგებმა გაიცნობიერონ კავკასიის მნიშვნელობა. საბჭოთა კავშირის დაშლამ საშუალება მისცა სამივე ქვეყანას აღიდგინა საკუთარი დამოუკიდებლობა და ახლა ისინი ისტორიულ წარსულთან მიბრუნებას და იძულებით დარღვეული დროთა კავშირის აღდგენას ესწრაფვიან. ორ მთაგრეხილს შორის მოქცეული ეს მხარე, რომელიც „აბრეშუმის გზად“ იყო წოდებული, ახლა, ჩვენს თვალწინ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი ხიდი ხდება. უფრო მეტიც, ეს ზონა მალე ნავთობის ელდორადად მოგვევლინება. კასპიის ზღვის გადმოღმა აზერბაიჯანია, რომელიც იმედოვნებს, რომ ოც წელიწადში ნავთობის წარმოებით ირანსაც კი გაუსწრებს. ზღვის გადაღმა კი – თურქმენეთი და უზბეკეთი და ისინიც საკუთარი ნავთობის დიდი მარაგით. ასე რომ, კავკასია სულაც არ არის ცხრა მთას იქით მდებარე რეგიონი. საფრანგეთისთვის ეს ზონა აშკარად სტრატეგიული ინტერესის მქონეა მომავალში. ჩვენი ახალგაზრდებისთვის სამუშაო ადგილები სწორედ აქ უნდა კეთდეთ. გენერალი დე გოლი ლაპარაკობდა ევროპაზე „ატლანტიკის ოკეანიდან ურალამდე“. ეს ევროპა ბრესტიდან ბაქომდეც ვრცელდება.

„ფიგარო“ მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებთან და დიდ ბრიტანეთთან შედარებით „ფრანგული ჩარევა“ საკმაოდ დაგვიანებული ხომ არ გეჩვენებათ?

ერვე შ. მართალია. ამერიკამ, ინგლისმა და ნორვეგიამ საფრანგეთზე ადრე გაიაზრეს აზერბაიჯანის მნიშვნელობა. ახლა მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, რომ ავიზღაურიოთ დაკარგული დრო. პრეზიდენტი ალიევი დამშვიდდა, რომ აზერბაიჯანის „სანავთობო სიურეიში“ ჩვენი „ელფიც“[1] დაიკავებს ღირსეულ ადგილს. აზერბაიჯანის პრეზიდენტის მომავალი ვიზიტის დროს, რომელიც ინფორშია დაგეგმილი, სხვა გეგმებზედაც ვისაუბრეთ. „ლაზარის ბანკ“ საზოგადოებრივი ფინანსების სფეროს საერთაშორისო „ბანკში“ საერთაშორისო „ბანკში“ და „ენერგეტიკულ“ კავშირგაბმულობას მიხედავენ. „ლიონის წყლები“ ბუენოს აირესის „ელფიც“ კი მშენებლობას.



„ფიგარო“ დატოვეთ თუ არა აზერბაიჯანი, მეორე დღესვე ქვეყნის პრეზიდენტს „შევრონის“, უდიდესი ამერიკული ფირმის, პატრონი გეახლათ. ეტყობა, თქვენმა ვიზიტმა ამერიკელები შეაშფოთა და მოისურვეს გაგეგოთ, თუ რას მიაღწიეთ „ელფის“ სასარგებლოდ. შეუძლიათ თუ არა ფრანგულ ფირმებს კონკურენცია გაუწიონ „შევრონს“?

ერვე შ – „შევრონის“ დემარში მოსალოდნელი იყო და ეს მე სრულიად არ მაოცებს. „შევრონმა“ ჯერ კიდევ მყარად ვერ მოიკიდა ფეხი აზერბაიჯანში. ამიტომ. იგი ყველა ღონეს იხმარს საკუთარი პოზიციების გასაძლიერებლად. ცხოვრება მუდმივი შეჯიბრია და უნდა ვეცადოთ, უკეთესთა რიგებში ვიყოთ. ფრანგებს არასრულყოფილების კომპლექსი არ უნდა აწუხებდეთ. მათ მრავალგზის დაამტკიცეს, რომ ძალუძთ ძალების და ენერგიის მობილიზება და დასახული გეგმების განხორციელებაც ხელეწიფებათ.

„ფიგარო“ უნდა ჰქონდეთ თუ არა ფრანგულ საწარმოებს მსგავსი იმედები სომხეთთან და საქართველოსთან დაკავშირებით?

ერვე შ. – სომხეთში „ტომსონის“ ფირმა მოლაპარაკებას აწარმოებს დიდი ხელშეკრულების დასადებად არც „ალკატელი“ მკრდზე ხელებდაკრეფილი საქართველოში, რომლის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე თებერვალში ესტუმრება საფრანგეთს. ორივე ფირმას შეუძლია მოიპოვოს მოღვაწეობის ფართო არეალი. „ტომსონი“ საავიაციო კონტროლის ხელსაწყოებს მიაყიდის საქართველოს. „ლიონის წყლები“ კი მინერალური წყლის ჩამოსხმაში დაეხმარებიან ქართველ თანამოსაქმეებს. ჩვენ მეგობრული კავშირები გვაქვს სამივე სახელმწიფოსთან. მაგრამ მეგობრობის განმტკიცებას კარგი კონტრაქტები ესაჭიროება.

„ფიგარო“ – ისევე როგორც მშვიდობა. ეს რეგიონი კი ცნობილია თავისი კონფლიქტებით. მაგალითად, ყარაბახი, აზერბაიჯანის ტერიტორია, რომელიც სომხეთითაა დასახლებული.

ერვე შ – საფრანგეთი ვერ ჩაერევა ტლანგეტის ყველა კონფლიქტში და საკუთარ ნებას ვერავის მოახვევს თავს. მაგრამ, ისიც სათქმელია, რომ ორივე ქვეყნის პრეზიდენტებმა თანადგომა გვთხოვეს. ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისათვის. უნდა მოინახოს სამართლიანი, გრძელვადიანი და ორთავე მხარისთვის მისაღები გადაწყვეტილება. აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა, რა თქმა უნდა, დაცული უნდა იქნეს და ამასთან ერთად აზერბაიჯანელი ლტოლვილები უნდა დაბრუნდნენ იმ ადგილებში, რომლებიც ამჟამად სომხეთს უჭირავთ. იმავდროულად უნდა გავითვალისწინოთ სომხური უმცირესობის უფლებებიც. ამისთვის კი საჭიროა დეცენტრალიზაციის სისტემის ამოქმედება. მაგრამ საფრანგეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერევა საქმეში, თუკი აშკარა იქნება, რომ ორთავე მხარე საშუალებრივ მოლაპარაკებების მომხრეა და თუკი ისინი ყველა ნების კარნახით იმოქმედებენ. ჩვენ პირადი მიზნები კი არ გვამოძრავებს. საფრანგეთს შეუძლია მხოლოდ სამსახური გაუწიოს ორივე ქვეყანას.

„ფიგარო“ სომხეთში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ადგილი ჰქონდა ოპოზიციის მწვავე რეაქციას. ხელისუფლებამ ოთხი დეპუტატი დააპატიმრა. თქვენმა ვიზიტმაც ხომ არ შეაგულიანა ტერ–პეტროსიანი?

ერვე შ – [illegible] განვუცხადე ჩვენს მეგობრებს: „თუ გსურთ ევროპას დაუახლოვდეთ, [illegible] ეკეთ პატიმრობაში [illegible] ტერ–პეტროსიანმა ორი დეპუტატი გათავისუფლა და განაცხადა, რომ შესწორებას შეიტანდა საარჩევნო კანონში, როგორც ამას საერთაშორისო დამკვირვებლები ითხოვენ.

„ფიგარო“ – ისტორიული თვალსაზრისით, საფრანგეთს განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს სომხეთთან. საქართველოს შესახებ რის თქმა შეიძლება?

ერვე შ – დიახ, ფრანგულ–სომხურ ურთიერთობებს განსაკუთრებული ხასიათი გააჩნია. ეს კავშირები განპირობებულია საფრანგეთში არსებული მრავალრიცხოვანი სომხური დიასპორით, რომლის პრესტიჟი თობებს ითვლის. მაგრამ საფრანგეთი მოედ კავკასიაში უყვართ ქართველებსა და ფრანგებს. ბევრი რამ ანთვისებთ ჩვენს ხალხებს ერთნაირად უყვართ სიცივე, სომღერა და ღვინის სმა. საქართველოში, მზისა და ღვინის მხარეში, ამ ღელვა ქ–ნ ლანა ღოღობერიძესთან შეხვედრამ, რომელმაც ზეპირად წამიკითხა ვერლენისა და ბოდლერის ლექსები. ბევრ ფრანგს შეშურდება მისი!

„ფიგარო“ – დღეს საქართველოც იძულებულია წინ აღუდგეს აფხაზი უმცირესობის მიერ ინსპირირებულ კონფლიქტს. შეუძლია თუ არა საფრანგეთს, რა თქმა უნდა, დახმარების მიზნით და კეთილი ნების კარნახით, ჩაერიოს კონფლიქტის მოწესრიგებაში?

ერვე შ – ეს კონფლიქტი ყარაბაღის კონფლიქტისაგან საგრძნობლად განსხვავდება. აფხაზეთის საკითხი საქართველოს საშინაო საქმეა. თუმცა კი აშკარად იგრძნობა „ეცხო ჩარევები“. განსაკუთრებით რუსეთისა–საფრანგეთს განზრახული აქვს შექმნას „საქართველოს მეგობართა ჯგუფი“, რომელიც გაარკვევს ხუთ ქვეყანას: გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს წევრებს, გარდა ჩინეთისა, რომლის ადგილს გერმანია დაიკავებს. აი, ამ ჯგუფის წევრთა მეშვეობით, ჩვენ შეგვიძლია დახმარების ხელი გავუწოდოთ საქართველოს.

ჩვენი პოლიტიკური წონა ისეთი აღარაა, როგორიც XVIII საუკუნეში იყო, როდესაც ჩვენი ქვეყანა უძლიერეს სახელმწიფოდ გვევლინებოდა. მაგრამ ყველგან, სადაც კი ვყოფილვარ, ვამბობ, რომ საფრანგეთისგან უფრო მეტ ძალისხმევას ითხოვენ ყველას აწუხებს ბოლო წლების საფრანგეთის პასიურობა. ისიც აშკარაა, რომ თუკი ამა თუ იმ ერს მსოფლიო ასპარეზზე წამყვანი როლის თამაში სურს, იგი ეკონომიკურად ძლიერი უნდა იყოს და დიპლომატიის გამოცოცხლებას ეკონომიკური აქტიურობაც უნდა მოყვეს თან. საფრანგეთმაც ასევე უნდა იმოქმედოს. დიდი ფირმების გვერდით, ეცხო ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოებიც უნდა შევიტანენ საკუთარი კაპიტალით და პროექტებით. აი, კიდევ ერთი გაკვეთილი, რომელიც მე ჩემი ამსწორებელი მოგზაურობიდან გამოვიტანე.

„ფიგარო“, 14 ოქტომბერი, 1996
თარგმნა გიორგი ეკიზაშვილმა

საშიში, საშიში, საშიში სიტყვა ოპოზიცია

დასავლეთის ქვეყნები და პოლიტიკური ოპოზიცია

გაგრძელება დასაწყისი იხ. გაზეთი „საქართველო“ №55, 56

ძალთული „ცივილიზებული“ ოპოზიციის ჩამოყალიბების პროცესში. ეს, ერთი შეხედვით რა გინდა პარადოქსულად ჩანდეს, დიდია თვით მთავრობის და სახელმწიფო მეთაურის (ამჟამად პრეზიდენტის) როლი. კონსტიტუციის განხილვის და მიღების დროს პოლიტიკურ ოპონენტებთან დიალოგისკენ რეალური ნაბიჯის გადადგმა, ცალკეული წინადადებების და რეკომენდაციების მიღება, მათი წარმომადგენლების დანშაა სახელმწიფო აპარატის კონკრეტულ თანამდებობებზე (თვით მინისტრის და მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილის ჩათვლით), აგრეთვე მრავალმხრივი საკონსულტაციო ორგანოების ჩარჩოებში აზრთა გაზიარების მიზნით მათი რეგულარული მიზიდვა ალმასრულებელ ხელისუფლებას საშუალებას აძლევს თავისი ინტერესებისთვის ზეგავლენა მოახდინოს ოპოზიციაზე დამუხრუჭოს მისი რადიკალიზაციის პროცესი. ჩამოაცილოს და იზოლირებულყოს მისი ყველაზე უფრო აგრესიულად განწყობილი და შეურიგებელი ელემენტები. აშკარა კონფრონტაციული კურსი ოპოზიციურ პარტიებთან ამ უკანასკნელთ უბიძგებს არაპარლამენტური ბრძოლის ფორმების გაძლიერებისკენ, რასაც შეუძლია დაარღვიოს მიღწეული სტატუს–ქვო. საქართველოში მმართველ პარტიებსა და ოპოზიციას შორის კონსტრუქციული ურთიერთობის მნიშვნელოვანი მოგნა შეიძლება გახდეს ფართო ეროვნული თანხმობის მმართველი კოალიციის შექმნა, რომელშიც გაერთიანდებიან როგორც რადიკალები, ასევე საბაზრო რეფორმების ზომიერი მომხრეები.

დასავლეთში მმართველი და ოპოზიციური პარტიების ურთიერთსაგავლენის ფორმები სხვადასხვა. ოპოზიციის წარმომადგენლებს, როგორც წესი, რეგულარულად იზიდავენ კონსულტაციისთვის. უფრო ხშირად კი მინისტრთა კაბინეტის საგარეო და სამხედრო, უფრო ნაკლებად კი საშინაო პოლიტიკის არსებითი ასპექტების თაობაზე. ახალი ინიციატივის განხილვის და მინისტრთა კაბინეტში მნიშვნელოვანი საკადრო გადაადგილების დროს. მათ შეუძლიათ მთავრობას გაუზიარონ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა კონკრეტულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებისთვის. მხარი დაუჭირონ მას (უკიდურეს შემთხვევაში, თავი შეიკავოს ხმის მიცემის დროს). მაშინ როდესაც პარლამენტს გამოაქვს უნდობლობის ვოტუმი.

მმართველი და ოპოზიციური პარტიები მჭიდროდ თანამშრომლობენ ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოებში. განსაზღვრავენ პლენარული სხდომის დღის წესრიგს და ხშირად განსახილველად შეაქვთ ერთობლივი კანონპროექტები აშშ–ის კონგრესის და დასავლეთ ევროპის ქვეყნების პარლამენტის მუდმივ კომიტეტებში. უმრავლესობა და უმცირესობა, როგორც წესი, წარმოდგენილია მათი ფრაქციის რაოდენობასთან მაკრი შესაბამისი პროპორციით.

ტრადიციულად, დიდი ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატაში მისი ორი ორგანოს – სახელმწიფო დანახარჯებზე კონტროლის კომიტეტის და დრეიფი კომიტეტის (რომლის ფუნქციებში შედის სამთავრობო უწყებათა მიმართ საზოგადოებრივის სარგებლობა განხილვა) თავმჯდომარეებად არიან წამყვანი ოპოზიციური პარტიების დეპუტატები 1992 წლის აპრილიდან თემთა პალატის სპიკერია ებუტროიდი, რომელიც არჩეულია ლეიბორისტთა უმცირესობის ფრაქციისგან. პარლამენტის თითოეული სესიის მუშაობის 20 დღე, როგორც სავალდებულო, ოპოზიციის განკარგულებაშია, რიგა მის ხელმძღვანელებს თავიანთი შეხედულებისამებრ განსახილველად შეაქვთ ის პრობლემები, რომლებიც მათ ყველაზე აქტუალურად მიაჩნიათ. ამასთან 17 დღე გამოყოფა წამყვანი პარტიის ოპოზიციას და კიდევ 3 დღე – რაოდენობრივად მეორე ოპოზიციურ ფრაქციას. სპეციალური შეკითხვა ჩრდილოვანი კაბინეტის წევრებს უფლება აქვთ უთხრან მინისტრებს მიღონ ოფიციალური ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე.

ოპოზიციის ქმედითუნარიანობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მისი იდეური და ორგანიზაციული ერთიანობა. ორპარტიული სისტემის ფარგლებში ოპოზიციური ძალების კონსოლიდაციის ცენტრი ობიექტურად ხდება ის პარტია, რომელმაც უკანასკნელ საერთო–ეროვნულ არჩევნებში მარცხი განიცადა. მასზე ავტომატურად გადადის უფლება – იყოს მთავრობის ოფიციალური ოპონენტი ან უკიდურეს შემთხვევაში ფორმალურად ოპონენტად ითვლებოდეს.

მრავალპარტიული სტრუქტურის ქვეყნებში ოპოზიციური კოალიცია წარმოადგენს უფრო ამორფულ (უფორმო) გაერთიანებას. ასეთი პარტიებისთვის ხშირად ადვილი არ არის ერთმანეთთან გამონახონ საერთო ენა. მოახდინონ ეფექტური კომპრომისი, შეგუონ პოლიტიკური სივრცის საკმაოდ შეზღუდულ უბანს, რომელიც ოპოზიციას უკავია. ასე. მაგალითად, „რესპუბლიკის მხარდამჭერი გაერთიანება“ და „საფრანგეთის დემოკრატიის კავშირი“ განასახიერებენ ფრანგული კონსერვატიზმის რესპექტაბელურ მიმართულებას, ყოველმხრივ ცდილობენ შორს იყვნენ მემარჯვენე პოპულისტური „ეროვნული ფრონტისაგან“.

ხელისუფლებისგან ჩამოცილებულ პარტიებს შორის ძალაში რჩება კონკურენცია. როგორც მაკრი დონეზე – ოპოზიციურ ბანაკში დომინირებული როლის მოპოვებისთვის, ისე მიკრო დონეზე – საზოგადოებაში თავიანთ პოლიტიკური ლოზუნგების და იდეების პოპულარობის მოპოვებისთვის ყოფილ გერმანის ფედერაციულ რესპუბლიკაში სოციალ–დემოკრატიული პარტია და „მწვანეები“ ახლის იყვნენ ერთმანეთთან უპირველესად ეროვნული უშიშროებისა და გარემოს დაცვის საკითხების ირგვლივ. შეინიშნება არცთუ ისე ერთობლივი შეხების წერტილები დიდი ბრიტანეთის ლიბერალებსა და ლიბერალურ დემოკრატებს შორის მოსახლეობის სოციალური პოლიტიკის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და მოქალაქეთა უფლებების საკითხებზე. მკაფიო იდეური „წყალგამყოფი“ არაა საქართველოს რადიკალური ოპოზიციის პარტიათა შორისაც. ის მდგომარეობა, რომ ოპოზიციური პარტიები ხშირად აპელირებენ ერთ და ოგივე სოციალურ კატეგორიებს, მსგავსი მიდგომარე სოციალურ–პოლიტიკური მსოფლმხედველობით და შეგასებით, კიდევ უფრო ართულებს მათ შორის ურთიერთობას.

მრეწველობის მხრივ განვითარებულ დასავლეთის ქვეყნებში უკანასკნელ ორ ათწლეულში მოხდა ოპოზიციური ძალების სპექტრის საგრძნობი გაფართოება. გამოჩნდა ახალი პარტია და სოციალური მოძრაობა. ოპოზიცია გახდა ანგარიშგასაწევი ფაქტორი დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ–პოლიტიკურ ცხოვრებაში. ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოების სხვადასხვა დონის პარლამენტური ოპოზიციის შემადგენელი ნაწილი. ტრადიციული პარტიები ჩაყენა პოლიტიკური საქმიანობის სულ სხვა პირობებში. მაგალითად, ოდესღაც დიდი ბრიტანეთის ოპოზიციის მონოლითური ბანაკი იდეურად უკვე აღარ წარმოადგენს ერთიანს: ლეიბორისტული პარტიის უმცირესობის სახელით გამოსვლის უფლებით ცდილობენ ლიბერალური დემოკრატები. აგრეთვე შოტლანდიის, უელსის და ჩრდილოეთ ირლანდიის წვრილი ნაციონალისტური პარტიები 1992 წლის გაზაფხულზე „მწვანეთა“ პარტია და „ეკოლოგისტთა თაობა“ საფრანგეთის რეგიონულ და კანტონურ არჩევნებში. სოციალური სამართლიანობის და გარემოს დაცვის („ეკოლოგია–90“, „მწვანეები“, „ალტერნატიული სია“) მოძრაობა მოძრაობამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომუნალურ არჩევნებზე შეაღწია თავიანთი ქვეყნების ძველი პარტიები

შოთა თევზაძე

გაგრძელება შემდეგ ნომერში

[1] ELF–საფრანგეთის უდიდესი ნავთობწარმოებელი კომპანია

იუმორის გვერდი — ხუთშვესვენება

ზაურ ბოლქვაძის ეს იუმორისტული პოემა თავის დროზე არალეგალურად გადადიოდა ხელიდან ხელში. საარალეგალურო აქ არაფერია, მაგრამ კომუნისტების დროში საბჭოთა იუმორიც ძალიან სერიოზული უნდა ყოფილიყო... იგი 1992 წელს ჟურნალ „ღიმილში“ დაისტამბა.

მკითხველს კვლავ ვახსენებთ ბატონი ზაურის ამ ბრწყინვალე გონებამახვილურ პოემას, რასაც ესთეტიკური სიამოვნების გარეშე ვერ ალიქვამს

არც რა მიშვილა ფირილმა,
არცა ცრემლემის დენამა,
მიშვილა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა

ზაურ ბოლქვაძე

ბაქოს პოემა

რომელმან შექმნა პროფკომი, მანვე წარმოშვა სადრაძე -
ყოფილი თოვლის ბაბუა, - რომ გადიოდა ფარდაზეც!..
ჯერ ბო-ძი-უის მიბაძა, მსახიობობაც მოსინჯა:
„ბოსუნტის“ კლუბის სცენაზე მინახავს ბოძის
„როლშიდაც“.
ერთ მეტად მდარე დრამაში ხორცი შეასხა აშოტას
და იურისტის დიპლომით უნივერსიტეტს დაშორდა...
იშოვა სასამართლოში თბილი ადგილი ხელადა,
მაგრამ, ერთ მაგარ პროცესზე, ნედლი ხე შექმნა
ხმელადა!..
მოკლედ, აქ არ გაუმართლა ამ დიუმას ტიპ ინდივიდს.
შორს იყო გედის სიმღერა, ბედი დასდევდა გიდივით...
და მართლა გიდად მოეწყო (გინდ დაიჯერეთ,
გინდა - არა),
ხელში „სლავარი“ ეჭირა და ესპანური გიტარა!
მოკლე შარვლით და შლაპითა, ერთადერთ „ბუკლე“
კოსტუმით
ექსკურსიებზე დაჰყავდა ტურისტნი - თბილისს მოსულნი...
გზად ეჯაჯღანა ჯანჯღავას - აგინა მამა, დედა... და,
„ინტურისტების“ მაგივრად, ცხრა თვეს „კაგებე“
კვებავდა...
მოხსნილს და თავზარდაცემულს, თვალები
ამოცრემლოდა...
რამდენიმე თვით გასტანჯა „ბოსუნტის“ გამომცემლობაც!..
მერე კი ბედმა „საბჭოთა საქართველოში“ შეკუჭა! -
შეხედა, არ მოუვიდა თვალში მაღრაძე ელგუჯას! -
არ უხმარია ბრძანება, არც საყვედური, არც ძალა:
ერთ-ერთ ჭალბატონ მწერალზე სიამოვნებით გაცვალა.
ქალბატონს წასვლა უნდოდა, ოთარ სადრაძეს -
წამოსვლა.
ნეტავ, კვლავ ვაწარმოებდეთ ამნაირ გაცვლა-გამოცვლას!
ასეთი ჰქონდა წარსული ამ მართლაც ექსტრა-
მოდერნ კაცს,
დღეს მისი არის პროფკომიც, „ნიანგის ბიბლიოთეკაც“.
ჯერ ფანტასტიკურ რომანის პერსონაჟივით გვიყურა,
მერე კი დაგვიმტკიცდა, შეგვეწყო ფანტასტიკურად...
დაწერილი აქვს გავლენით რომანის - „შველა არსიდან“ -
რვა - „ბარათები ნიანგს“ და ერთი - „ბარათი მარსიდან“.
იღწვის თავგამოდებული ცოლ-შვილისთვის და ბინისთვის,
ვეება პორტფელს დაათრევს, ოღონდაც - არა მინისტრის.
მეგობრის აუგს პირიდან ვერ ამოაცლი გაზითაც,
რაც გაზეთები მივიღეთ, სულ ტუალეტში გაზიდა...
აი, ამ კაცმა გვაჩვენა ბაქო, კასპია, მეჩეთი
და შესავალში, ასე ვრცლად, მასზე ამიტომ შევჩერდი...

* * *

საექსკურსიო მზადებას შეუდგა მართლაც „უდაჩნად“:
ჯერ „პროფსაიუზებიდან“ გამოიტანა „რუბლ დვაცატ“...
თვითეულს დაგვადებინა რაღაც ას-ასი მანეთი
და სამარშრუტო რუკაზე მონიშნა ბაქოს განედი.

* * *

გვეკითხებიან: „საითო“?! ვყვირით: „ბაქოში“, „ბაქოში“!...
და, გაპობილი მთვრალები, ავდივართ მერვე ვაგონში...
შიგ სუნი იდგა შმორისა! - ვერ მოვახერხეთ ბაგეძრა...
დაიძრა მატარებელი და იმ წუთიდან „დაგვენძრა“...
გარის და ნოდარს თვალები მიპყრობილი აქვთ ლელასკენ,
სახეები აქვთ ისეთი, - შეშურდებოდა ველასკესს...
კუპის შორეულ კუთხეში გამოწკეპილი კალე ზის
და სალესი ქვის სიცივე რძედ ჩაჰყინვია თვალებში...



* * *

ექვსი საათი ვიარეთ უდაბნოდქცეულ დაბებში,
დილით ჩავედით ბაქოში - ამ ქალაქ-საქაბაბეში...
სადგურზე დაგვხვდნენ თათრები, გამოგვყვნენ ფეხთა
შეთრევით,
განვსხვავდებოდით ისევე, ვით წითლები და თეთრები.
როდესაც გადავიწყვიტეთ ტაქსების შოვნის იმედი,
კარგა ხანს ფეხით ვიარეთ და სასტუმროში მივედით...

* * *

მან, რა თქმა უნდა, არ იცის ფასი საშშობლო მხარისა,
ვისაც არ მოუსმენია ხვრინვა გივის და გარისა.
სულ დამავიწყდა ამის თქმა: კუპეში ისე ხვრინავდნენ,
რომ ჩვენ ხუნვეიბინების ხელში ჩავარდნა ვინატრეთ!
გივისთან, ანდა გარისთან, დამწოლი იყო რომელი?...
და ამ „სახალხო მხვრინავებს“ მივეცით ცალკე ნომერი.
ლუქსში ავედით, ამოგვყვნენ, ლუქსს ჰქონდა სუნი
საღორის
და მასპინძლებმა დაგვღალეს ამდენი „საღოლ-საღოლით“.
შეგვპირდნენ, მალე მოვალთო! გულში ვიფიქრეთ:
„გავკეთდით“,
მესამე ღამით მოვიდნენ და გაიმართა ბანკეტი...

* * *

რუსული ვინც არ გვასწავლა, - იმისი - ო, კეთილები!..
სუფრაზე მე და სვეიჩი ვიჯექით მოკეტილები.
სამჯერ ვთქვით: „ოჩენ სასიბო“, მერე დავეგდეთ
უსულოდ
და ასჯერ მაინც გინატრეთ, მალაზონიას რუსულო!
ნოდარს რუსული სცოდნია, - მიკვირს, რატომ დუმს
მოსკოვი?!
„ტოსტებს“ ამბობდა, - ვტიროდით! - გვეგონა
„ტრიეიდი“ ტოლსტოი.
ფეხზე რომ წამოდგებოდა, იტყოდა სიტყვას - „დრუზია!“

თუ დროზე ვერ მიუსწრებდით, გაქცევდებოდა ბუზია.
ერთი „ტოსტი“ თქვა ასეთი (მომყავს ქართული
თარგმანი):
„რუსთველი არის თათარი - შოთაი-ოღლი-თანგანი!
თქვენ ხართ უუდიდესები, სხვა აფშერონი სად არი?
ქართველი მერე დაერქვა, თავიდან ერქვა თათარი.
რომ ხელმეორედ გათათრდეს, - ყველა ქართველი
მზად არი!“
მთელი მაგიდა აბღავლდა, აღტაცებისგან ტიროდა, -
„მართალი ხარო, მართალი“, „საღოლ, საღოლო“, -
ყვირიდა...
სუსტი სადრაძეც არ იყო, მაგრამ იმ ღამეს დადგინდა:
თუ კაცს სათქმელი არა გაქვს, რუსულის ცოდნა
რად გინდა?!

* * *

ვესტიბიულში ვცდილობდით, ფხიზლის მიგვეღო პოზები,
მაგრამ იძლაერა ღვინომ და დაიწყო დიდი კონცერტი:
მარიკას ქურთი ქაჩავდა, ლიას - ვიღაცა დამპალი,
სონიას არ ეშვებოდა მილიციელი დაბალი...
მაშინ ვთქვი: „ვეტყვი დუმბაძეს „ ხელმძღვანელია,
„ვისშია“,
თორემ არ მესმის, რა ხდება, ვინ-ვის თმობს! ვისი ვისშია.
მზიას ვუთხარი: „მაკოცე!“ ცივად მომიგო: „მომეშვი!“
გავიქეცი და დავეგდე ჩემს აყროლებულ ნომერში...

* * *

სვეიჩს ქალი წყუროდა, როგორც ბედუინს კუმისი,
სიამოვნებით მისცემდა სულს ერთი გოგოს გულისთვის!
ჯერ ზიზღით გადაფურთხა, მერე დატოვა ოთახი
და სამოცი წლის სართულის მორიგეს თხოვდა
მოძახილს.
გათათხა გივი მორიგემ რუსულ გინებით, ხალხურით:
„ნახალ! იდიოტ ნესჩასტნი! დურაკ! იდი ტი ნა...“
დანაღვლიანდა სასტიკად ჩვენი სვეიჩი შემტევი,
წავიდა და „დაპილსია დო ზელიონიხ ჩერტეი“.
გავიჟდა, რომ არ მიეცა ქეიფ-მრუშობის საბაბი,
და ცხვირი ჩამოშვებოდა, ვითარცა ლულა-ქაბაბი...
რომ დაინახა მან გარი, - ჩამდგარი რუსის რვა ბოზში, -
უმზერდა საწყალ თვალებით, როგორც „ბაკინსკი
რაბოჩი“.

* * *

გარი ძალიან გაერთო, ძალიან მაგრად გარისკა
და, საცოდავი, კინაღამ გადაიყოლა არყის სმამ.
ერთ ღღეს გამოტყდა: „მიშველეთ! - ბიჭებო, კუჭზე
წყლული მაქვს!“.
ტიროდა, ყოველ სეკუნდში იმეორებდა სულ იმას,
მხიარულები ვიყავით ყველანი, გარდა გარისა,
და ჭავდა გარი გარუჯულ გორაკებს გარდაბანისას!
დაფეთებული თავისი სტომაქის წყლულის სიფართით -
ფითს ჭამდა გაფითრებული, სიფილისიან სიფათით.
თათარ ექიმთან მივიდა, მის კაბინეტში დაერჭო,
რომ გამოვიდა იქიდან, თავ-ყბას იჭნევდა საეჭვოდ.

* * *

შექება ყველას ახარებს, მაგრამ დავიცვათ რიგია! -
ჯერ ის სადრაძე შევაქოთ, ვინც შესავალში გვიქია:
თორმეტი რელსი იყიდა, ათი „ვანა“ და რვა ქოში
და ქაშუეთის მღვდელივით დაქოშინობდა ბაქოში...
არ ჭირდებოდა ქალაქში არც გზისგამკვლევი, არც გიდი
და რკინა-კავეულობას იკრავდა, როგორც მაგნიტი,
ელანდებოდა უცნობი მაღაზიების აბრები.
დარბოდა გულდარდიანი, ყალყზე შემდგარი წარბებით.
ერთხელ ზღვისპირას გავიდა, შედგა, თვალები მოწკურა
და ორმაგ ფასად იყიდა ნავთობის ორი კოშკურა...
არ დარჩა შეუძენელი ნემსი, კაუჭი, კომპასი!..
ოცი ათასი მანეთი ჩაყარა „ბაქეაჭრობაში“.

* * *

ნახევარკუნძულ აფშერონს ფშვნიდა ქარ-წვიმა აშარი...
ბუფეტში იჯდა სადრაძე - პირველი ბილდის ვაჭარი.
არაყს არ სვამდა, ცქმუტავდა, გამოდარებას ელოდა. -
ბოქლომი დარჩა საყიდი, და, არ უნდოდა ელოთა.
მერე ამბობდა: ბოქლომი შეეძინეო „უგოდნად“.
ბაქოს იკლებდა ბრექითა, ბუქნავდა, ბაქიბუქობდა.

* * *

თუმც ცამდე აქო ნოდარმა, ლელა მოექცა ვირულად, -
გამწყრალი ჯვებე ატირდა! - ტიროდა კოკისპირულად!..
რომ გაგვიწბილა ძვირფასი ჩვენი დუმბაძე მზიური,
შეგვეტულდა ლელას დანახვა, ვით სენი ვენერიული!

* * *

ზრდილობისათვის ავედით „ზღარბში“ - თათრულად
„კირპიში“...
სკამი არ ჰქონდათ, დაგვიდეს სკამად ორ-ორი „კირპიჩი“.
გამოველწიეთ „კირპიდან“, ერთ მოძრავ ტირში შევედით. -
ვმართეთ სროლა-შეჯიბრი! - ლომნი ერთმანეთს შევებით!..
ტროას ჰგავს ბაქო ტიალი: ყოველ ნაბიჯზე ტირია.
ქუჩას, - თუ ტირი არა აქვს - ქუჩის მცხოვრებნი ტირიან.

* * *

მეშვიდე ღღეა, ბაქოში - თათრის ქალაქში ვეთრევით.
„ჩქარა წავიდეთ აქედან!“ - ნოდარს მივმართეთ ვედრებით,
გარის კუჭწყლულმა უმძლავრა! - თვალები შავად
აემღვრა,
შეშინდა ნოდარ დუმბაძე და თქვა: „წავიდეთ ამღღამ!“
როცა ვიღებდით ბილეთებს, გადაირია „კასირი“,
რომ დაინახა სადრაძე - საღებავებში გასვრილი.
რვა კაცმა გადმოვათრიეთ ოთარ სადრაძის ბარგები,
ძალიან გვეხმარებოდნენ თათარი ამხანაგებიც!
მე მძიმე ტვირთი ამკიდა, როგორც საკუთარ სახედარს!..
ოცჯერ ვინატრე ოცდაექვს კომისრის გვერდით
დახვრეტა!
გივი და გარიც დატვირთა, ნოდარს იმდენი ვერ ჰკადრა,
მაგრამ, რაც ჰკადრა, ჰყოფნიდა სუსტი მუხლების
დრეკადა.
წელში გამტყდარი ნოდარი ლელას მისდევდა ძუნძულით,
გვექაჩებოდა სადრაძის ქოჩრის ნახევარკუნძული,
ჰოდა, სადრაძის წყალობით, ისე წამოველთ ბაქოდან,
პაპიროსი რომ გვეყიდა, იმისი ფულიც არ გვქონდა.
მელანდებოდა გურია და გემო მისი ადესის,
ყურში წიოდა ტყუილი იმ მაცდურ ალიზადესი!
ოთარს კისერზე ეკიდა აცმა ათასგვარ „კასტრულთა“!..
დაიძრა მატარებელი! - ესე ამბავიც გასრულდა,
თუმცა არ დამთავრებულა, - სხვა ქალაქებიც გველიან!..
ნავთის ქალაქში მგზავრობა გავლექსე ბათუ მელიამ!

ამ ოპერაციის იდეა ზღაპრულია

ახლახანს ილია ჭავჭავაძის მუზეუმში გაიმართა შატილოვების ოფთალმოლოგიური სკოლისადმი მიძღვნილი საღამო.

პროფ. ალექსანდრე შატილოვი გახლდათ ქართული ეროვნული ოფთალმოლოგიის ერთ-ერთი მესვეური. მისი ქალიშვილის, ცნობილი ოფთალმოლოგის, აკადემიკოს ტატიანა შატილოვას ინიციატივით საქართველოში გაფართოვდა ოფთალმოქირურგიული ოპერაციების დიაპაზონი. მსოფლიო ოფთალმოლოგიაში მან პირველმა აღწერა წამწამოვანი სხეულის უცნობი რეცეპტორული ველი და შეიმუშავა ციليიარული სხეულის ბიოპოტენციალის რეგისტრაციის ახლებური მეთოდი – ციليიოგრაფია.

ღვაწლმოსილ მეცნიერს მიესალმნენ: პროფ. თამაზ ალექსიძე, ირინე ონიანი, ტიციან ტაბიძის ქალიშვილი ნიტა ტაბიძე, ბატონი კოტე მახარაძე, ქ-ნი ზინაიდა კვერენჩხილაძე, აკადემიკოსი რევაზ გურგენიძე, საქართველოს ოფთალმოლოგიური ცენტრის თანამშრომლები, ქირურგიული განყოფილების გამგე მედეა სიმონგულოვა და სხვანი.

გავესაუბრეთ აკადემიკოს ტატიანა შატილოვას.

– რა მიგაჩნიათ თქვენი სამეცნიერო მუშაობის ყველაზე დიდ მონაპოვრად?

– მეთოდი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს თვალიშიდა წნევის რეგულაციის საქმეში, აგრეთვე ახლომხედველობის შესამცირებელი ოპერაცია. 10 წუთზე მეტი დრო მოვანდომე ამ ფუნდამენტალური ნაშრომის შექმნას, რომელიც საჭიროებს შემდგომ გაღრმავებას.

სხვა პრესებული ოპერაციებისაგან განსხვავდება იმით, რომ ამ დროს რქოვანა გარსი ხელუხლებელია და რეფრაქციის შეკვეცა ხდება მანიპულაციებით ლიმბუსზე ლორწოვანის ქვეშ. ამ დროს გაცილებით ნაკლები გართულებებია მოსალოდნელი, ვიდრე რქოვანას სხვა ოპერაციებისას.

– თუ გაქვთ სამეცნიერო კონტაქტები საზღვარგარეთის ქვეყნებთან?

– რუსეთში მაქვს მუდმივი კონტაქტები მოსკოვის ჰელმჰოლცის სახელობის ინსტიტუტთან, პროფესორებთან: კაცნელსოხთან, გუნდოროვასთან, ბორდიუგოვასთან და სხვებთან.

1972 წელს ვიმყოფებოდი გერმანიაში და ვითანამშრომლე ტრავმატოლოგიაში ცნობილ პროფესორთან, კიოლნის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის თვალის სნეულებათა კათედრის გამგესთან ჰელმუთ ნოიბაუერთან, რომელთანაც დღესაც არ გამწყვეტია სამეცნიერო კონტაქტები. ჟურნალ „Klinische Monatsblatter der Augenheilkundl "-ში გამოქვეყნდა ჩემს მიერ შემუშავებული ახლომხედველობის შესამცირებელი ოპერაცია. პროფესორმა ნოიბაუერმა ამ ოპერაციის იდეას „ზღაპრული" უწოდა.

1990 წელს იტალიაში, კალაბრიაში გაიმართა ოფთალმოლოგთა კონფერენცია, რომელზეც ქართველ ოფთალმოლოგთა დელეგაცია მიიწვიეს. გავემგზავრეთ სამნი: მე, ირინე ონიანი და მალხაზ ჩიქოვანი.

– ამჟამად რაზე მუშაობთ?

– ამჟამად ვმუშაობ ემბრიონალური ქსოვილის გადანერგვაზე.

– რა არის დღევანდელ ქართველ ოფთალმოლოგთა ხელისშემშლელი გარემოება?

– უპირველეს ყოვლისა, მატერიალური მოუწყობლობა, ინფორმაციული ბლოკადა, არ შემოდის ჩვენი სპეციალობის უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა, მატერიალური სიძნელეები ართულებს ექსპერიმენტალურ მუშაობას. არ იშოვება პრეპარატები...

– როგორ გესახებათ ქართული ოფთალმოლოგიის მომავალი?

– უკეთესის იმედი მაქვს, რადგან საფუძველი კარგი გვაქვს. ჩვენს კლინიკებში მუშაობენ ნიჭიერი ოფთალმოლოგები. მათ შორის დავასახელებ მარიამ კვალიაშვილს, დავით შენგელიას, ირინე ონიანს, მალხაზ ჩიქოვანს.

დღევანდელი პრაგმატიზმის პირობებში იშვიათად აღმოაჩენთ ისეთ ადამიანს, რომელსაც წმინდა მეცნიერული მუშაობა აინტერესებს. შერჩეული მყავს რამდენიმე ახალგაზრდა, რომელთაც ჩავაბამ მუშაობაში.

ესაუბრა

ლელა კალანდაძე

საქართველოს დელეგაციამ ნატოს გაფართოების საწინააღმდეგოდ მიღებული განცხადებას მხარი არ დაუჭირა

სანქტ-პეტერბურგში დამთავრდა დსთ-ის პარლამენტთაშორისი თანამბლეის მორიგი სხდომა, რომელზედაც მიიღეს განცხადება ნატოს გაფართოების საწინააღმდეგოდ. საქართველოს დელეგაციამ, რომელსაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ყოლბაია ხელმძღვანელობდა, ამ განცხადებას მხარი არ დაუჭირა.

იბერია

საქართველოს ენერგეტიკაში მძიმე ვითარებაა

სააგენტოს კორესპონდენტს „საქენერგოდან" აცნობეს, საქართველოს ენერგეტიკაში უმძიმესი ვითარება იქმნება. ფაქტობრივად არ მუშაობს თბილსრესი, გარდა ორი ბლოკისა. მე-9 ენერგობლოკი გაჩერებულია საწვავის უქონლობის გამო. პარალელურად შეიქმნა პრობლემები ენგურჰესთან ელექტროენერგიის მიღებასთან დაკავშირებით. კრიზისის უმთავრესი მიზეზი კვლავინდებურად დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობაა.

იბერია

რუსეთის სამხედრო აეროდრომები გაკონტროლდება?

საქართველოს პარლამენტის მიერ საჰაერო კოდექსის მიღებასთან დაკავშირებით, საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის თავმჯდომარემ ზ.ჭანკოტაძემ გუშინ, თბილისის აეროპორტში პრეს-კონფერენცია გამართა. მისი განცხადებით, საჰაერო კოდექსი აგებულია იკაო-ს კონვენციის საფუძველზე, რომელიც 50 წლის წინ არის მიღებული ჩიკაგოში. ზ.ჭანკოტაძის თქმით, აღნიშნული კოდექსის საშუალებით დეპარტამენტი შეძლებს ვაზიანსა და ალექსეევკაში განლაგებული რუსეთის სამხედრო ავიაციის გაკონტროლებას. აღინიშნა ისიც, რომ ხსენებულ აეროპორტებში სათანადო საკანონმდებლო ბაზის უქონლობის გამო ვერ კონტროლდებოდა რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების ფრენა, რის გამოც ხშირ შემთხვევაში ისინი კომერციულ რეისებს აწარმოებდნენ. მისივე თქმით, საჰაერო კოდექსის მიღების საფუძველზე, აღნიშნული ხარვეზები ვაზიანსა და ალექსეევკაში საქართველოს სამაჯო დეპარტამენტის საკონტროლო-გამშვები პუნქტების ამოქმედებით დარეგულირდება.

იფრინდა

იხილება ელექტროენერგეტიკული სექტორის პრივატიზების პროექტი

ქონების მართვის სამინისტროს პრეს-ცენტრის ცნობით, მიმდინარეობს სამობრ-ენერგეტიკის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ელექტროენერგეტიკული სექტორის პრივატიზების პროექტის განხილვა, რომელიც შეთანხმების შემდეგ, ნოემბრის ბოლოსათვის, სახელმწიფო კანცელარიას წარედგინება. პროგრამით განსაზღვრულია იმ ელექტროენერგეტიკული სექტორის საწარმოები, რომლებიც მოცემულ ეტაპზე არ დაექვემდებარებიან პრივატიზებას, განსაზღვრულია ის ჰიდროელექტროსადგურები, რომელთა საკონტროლო პაკეტები დარჩება სახელმწიფოს საკუთრებაში. პროექტით გათვალისწინებულია ელექტროენერგეტიკული სექტორის პრივატიზებისას დარგის პერსონალისათვის მნიშვნელოვანი შეღავათები, თუმცა ამ საკითხზე საბოლოო პოზიცია ჯერ არ ჩამოყალიბებულა.

იფრინდა



თარაზულად: 3. დაკოდილი მამალი ცხვარი; 5. შეიარაღებული შეტაკება მტერთან; 7. ჩხირისებრი ბაქტერია; 8. ესესელი, ჰიტლერის ადიუტანტი; 9. მკვლევარი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, პარიზის ი.ჭავჭავაძის სახელობის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის დამაარსებელი და დირექტორი; 11. რის გარეშეც სისოცხლე შეუძლებელია; 15. ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწე რუსეთში; 17. პოლონელი წვრილი აზნაურობა; 19. ჟან პოლ მარატის მკვლელი (სახელი – შარლოტა); 22. მამა-პაპური წეს-ჩვეულებანი; 23. ცნობილი ქართველი რეჟისორი; 25. ძლიერი ნათება, ელვარება; 29. ავტორი სიტყვებისა: „საზოგადოება, რომელიც ჯერ პურით უზრუნველყოფას ცდილობს, შემდეგ კი თავისუფლებისათვის იბრძვის, ვერც ერთს იმკის, ვერც მეორეს, ხოლო საზოგადოება, რომელიც ნებით ირჩევს თავისუფლებას, ერთსაც აღწევს და მეორესაც"; 30. უდიდესი იტალიური უნივერსალური ენციკლოპედია (1929–32 წლები); 33. პერსონაჟი ფილმისა „პირველი მერცხალი"; 34. ფრანგი მწერალი ფილოსოფოს-განმანათლებელი და ენციკლოპედისტი (XVIII საუკ.); 35. ადამიანის ავადმყოფური ფსიქიკური მდგომარეობა.

შვეულად: 1. ცნობილი მოქანდაკის, ჯუანშერ მიქატაძის ნამუშევარი; 2. საფოსტო მარკების შეროვება და შესწავლა; 4. ქართველი ხალხური მომღერალი, ლოტბარი, პედაგოგი; 6. მოძრავი ჯარების შეჭრა მტრის ზურგში საბრძოლო მოქმედებისათვის; 10. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ალმასი მსოფლიოში; 12. კბილი საჭრელ და ძირითად კბილებს შორის; 13. ინგლისური ტანკი; 14. სოფელი ოდიშის დაბლობზე; 16. ცნობილი ინგლისელი რეჟისორი; 18. პერსონაჟი ფილმისა „მე ვხედავ მზეს"; 20. ლითონის ფულის ან მედლის წინა მხარე; 21. აკვანში გასაკეთებელი მილი; 24. გადასახადი; 26. ნაოსნობის ერთ-ერთი ძირითადი სახელმძღვანელო; 27. მოძრაობათა და ყესტების ჰარმონიულობა; 28. ჯიხაშკარელი გლეხი, რომლის სახელოსნოშიც განისვენებდა პრეზიდენტ გამსახურდიას ცხედარი 32 დღის განმავლობაში; 31. ამინდის ჭირვეულობის ერთ-ერთი გამოვლენა; 32. ამერიკის საზღვაო ფლოტის ავიამზიდი.

გ.ბასიტაშვილი

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. მიტკალი; 6. ზღუდე; 7. კიური; 11. იახტა; 12. დუნაი; 13. გოიმი; 18. ქეთინო; 20. აორტა; 21. ხორავა; 22. „თოლია"; 23. მაფია; 27. არხოტი; 28. კოშკი; 29. ავრალი; 30. „თეთრი"; 32. პრასი; 34. ხალხა; 36. პლანი; 37. დრამა; 38. პლუტონი.

შვეულად: 1. შილდსი; 2. ფლეიტა; 4. ბლუჯა; 5. ტრიკო; 8. სტუდია; 9. ცხვარი; 10. ზუმერი; 14. თეთჩერი; 15. ბაბიცკი; 16. ნატალია; 17. ყვარელი; 19. ოროლი; 21. ხაიფა; 24. შორენა; 25. უშგული; 26. ფრესკა; 31. რჯული; 33. რაზმი; 34. ხსნილი; 35. აირანი.

მთავარი რედაქტორი

ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444